ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს

# ქალი

1997

9–10



ობოლმა ბავშვებმა დედა და მშობლიური ოჯახი იპოვეს

**წამლები ამერიკიდან — უფასოდ**

საოცარი წერილი გამოცხადების შესახებ ანუ სულის იმქვეყნიური ცხოვრება

**ძეგვის ბავშვთა სახლის პრობლემები**

**ლილი ნუცუბიძის საიუბილეოდ**

**„გვირილა" საქართველოს უგალობს**

**დელფინები დაეხმარნენ მშობიარეს**

ჟურნალი გამოიცა ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და პროგრამის „რეპროდუქტოლოგიის განვითარება საქართველოში" დახმარებით.

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი)
- ნანა ობოლაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯამახიშვილი
- ეთერ ჯაფარიძე

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე ბავშვთა ანსამბლ „გვირილას" წევრები. ვარლამ გენგიურის ფოტოები.

დამფუძნებელი — ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო".

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო". ზ. კოსტავას ქ. № 14.

„Sakartvelos Kali"
Georgian Woman
a Magasine for Woman of the Republic of Georgia

# კიდევ ერთი დიდი საერთაშორისო აღიარება



ელადის მიწა...

საკაცობრიო ცივილიზაციის აკვანი, დემოკრატიული იდეალების სამშობლო. ანტიკური ხანის მდიდარი ქვეყანა და მაინც ჩვენი ოქროს საწმისისაკენ თვალმიპყრობილი, ბოლოს მისი გამტაცებელი.

მედეასა და იაზონის ტრაგიკული სიყვარულის ადგილი.

და აი, დადგა დღე, XX საუკუნის მიწურულს — 1997 წლის 16 სექტემბერს, როცა „აიეტისა და მედეას შთამომავალნი იაზონის მემკვიდრეთაგან იღებენ ოქროს საწმისის უძვირფასეს ნაწილს".

ეს სიტყვები წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, როდესაც მას გადასცეს ალექსანდრე ონასისის საერთაშორისო პრემია „საერთაშორისო ურთიერთგაგებისა და საზოგადოებრივი დამსახურებისათვის" რომ ეწოდება.

დროთა კავშირი აღდგა, ისტორიულმა სამართლიანობამ იზეიმა.

ბატონი პრეზიდენტის უაღრესად შთამბეჭდავი, მეტაფორებით შემკული სიტყვის შემდეგ ბერძნები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ უაღრესად სწორი არჩევანი გააკეთეს.

საქართველოსა და საბერძნეთს შორის განისაზღვრა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პერსპექტივები.

პრეზიდენტს თან ახლდა მეუღლე, ქ-ნი ნანული შევარდნაძე, რომელსაც საინტერესო შეხვედრები ჰქონდა საბერძნეთის ქალთა ორგანიზაციებთან.

ტიტუტის დაარსება ბათუმში, რომელიც უკვე პოპულარული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა.

სიახლეები უამრავია, ისინი ჩვენს ცხოვრებაში თანამიმდევრულად იკიდებენ ფეხს, იმ აჩქარებისა და კამპანიურობის გარეშე, რაც არ შეესაბამება განათლების ზედმეტი ექსპერიმენტულობისადმი შეუთავსებელ ბუნებას.

ორიოდე წლის წინ, განათლების წინაშე მდგარი პრობლემების დაძლევისათვის აჭარაში ჩამოყალიბდა განათლების აღორძინების საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბატონი ასლან აბაშიძე. საბჭოს ინიციატივით, გასული ორი სასწავლო წლის განმავლობაში ათიათასობით მოსწავლე უფასოდ იღებს სახელმძღვანელოების ძირითად ნაწილს; ყოველწლიურად ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს გადაეცემა საახალწლო ნობათები, პედაგოგებზე ვრცელდება სხვადასხვა სახის შეღავათები, რომლებიც აგრერიგად მნიშვნელოვანია მათი გამხნევებისა და მხარდაჭერისათვის.

— რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ სოკოებივით მომრავლებული ფასიანი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების გახსნა?

— ქვეყანაში, რომელსაც საბაზრო ეკონომიკისაკენ აქვს აღებული ორიენტაცია, ეს გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს. უდავოა, რომ არსებული სასწავლებლების ერთი ნაწილი სამომავლოდ ვერ გაუძლებს კონკურენციას და დაიხურება. მოსახლეობაც არ მისცემს თავს უფლებას შეიყვანოს შვილი ისეთ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ სამუშაოს დაწყების პერსპექტივა არ ექნება. ეს სასწავლებლები მაშინ გამრავლდნენ, როცა ბევრი რამ მოუგვარებელი და დაუზუსტებელი იყო.

ამჟამად საჭიროა ფასიანი უმაღლესი სასწავლებლის ატესტაციის ტემპის დაჩქარება და მისი შედეგების მიხედვით — აკრედიტაცია. აკრედიტაციის პირობები აუცილებლად უნდა პასუხობდეს სტანდარტის მოთხოვნებს.

— როგორ თვლით, სად უნდა დასაქმდეს ამდენი კურსდამთავრებული ახალგაზრდა, ან რამდენად დამაკმაყოფილებელია მათი პროფესიული დონე?

— აჭარის განათლების სამინისტროში გამოკვეთილია პოზიცია: დასაქმების დროს უპირატესობა მიეცეს სპეციალისტს, რომელსაც სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული, მიგვაჩნია, რომ დღესდღეობით მათი პროფესიული დონე შედარებით მაღალია, მაგრამ სამწუხაროდ, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობა ჭირს...

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ ფასიანი სწავლების შემოღება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აუცილებელია?

— საბაზო განათლება ცხრა კლასის ჩათვლით სახელმწიფოს მიერ არის უზრუნველყოფილი. სწავლების მესამე საფეხურზე კი, ე. ი. ცხრა კლასს ზევით სწავლება ნაწილობრივ ფასიანია. ის, ვინც ნიჭიერია და მაღალი აკადემიური მოსწრება აქვს, მოსწავლეთა საერთო კონტინგენტის 30 პროცენტის ფარგლებში, განათლებას მიიღებს უფასოდ, სახელმწიფო დაკვეთით. დანარჩენი 70 პროცენტისათვის კი სწავლება ფასიანია. ეს გარკვეულწილად საქმისადმი რეალურ მიდგომად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მესამე საფეხური განსაზღვრავს ცოდნისა და მეცნიერების დაუფლებისაკენ მისწრაფებას. ვისაც ამისი უნარი არ გააჩნია, მისთვის სწავლება იქნება ფასიანი, ან სურვილისამებრ დაეუფლება შესაფერის სპეციალობას.

ვფიქრობ, ამ საკითხთან შედარებით უფრო პრინციპულია ის, თუ სწავლების რომელი ეტაპი გამოცხადდეს სავალდებულო საფეხურად. ჩვენი აზრით, საბაზო განათლება უნდა იყოს სავალდებულო, რაც უკვე აღიარებულია საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამით. საქართველოს კონსტიტუცია სავალდებულო საფეხურად აღიარებს დაწყებით განათლებას. ამის დამკვიდრება კი დასცემს ერის ინტელექტუალურ პოტენციალს, უყურადღებოდ დარჩებიან ოთხკლასდამთავრებული და სწავლაში ჩაუბმელი თერთმეტ-თორმეტი წლის მოზარდები, რომელთა პიროვნების ფორმირებისათვის სახელმწიფოს აღარ ექნება არავითარი მექანიზმი.

— რა აზრის ბრძანდებით სკოლებში თავისუფალი დასწრების შესახებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს საკითხი შეიძლება დაისვას უმაღლეს სკოლაში, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდობის თვითშეგნება და პასუხისმგებლობა შედარებით ფორმირებულია. სხვა მოწინავე ქვეყნების მსგავსად, ჩვენს უმაღლეს სკოლებშიც სტუდენტებს უნდა მიეცეთ უფლება სურვილისამებრ საპროგრამო კურსის შემოკლებულ დროში გავლისა. საშუალება მქონდა ამ საკითხზე პირადად მესაუბრა ატლანტისა და ფლორიდის შტატის განათლების მესვეურებთან, სადაც ეს პრაქტიკა სწავლების ჩვეულებრივი ნორმაა. ნიჭის, უნარისა და ცოდნის გათვალისწინებით, სტუდენტს უფლება აქვს მომდევნო კურსების საგნები წინასწარ მოამზადოს და ხუთწლიანი კურსი ორ-სამ წელიწადში გაიაროს.

რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თავისუფალ დასწრებას, იმის გათვალისწინებით, რომ თვითკონტროლის უნარი, სწავლისადმი, მოვალეობისადმი დამოკიდებულება ფორმირების სტადიაშია, ჯერ ნაადრევია თავისუფალ დასწრებაზე საუბარი, პირიქით, სკოლაში გაკვეთილებზე დასწრება მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს.

— წელს აჭარაში დიდთოვლობა იყო. როგორ მუშაობდნენ სკოლები მაღალმთიან სოფლებში?

— აჭარის მთის რეგიონში დიდთოვლობასთან დაკავშირებით განსაკუთრებული და სპეციფიური დამოკიდებულება აქვთ გამომუშავებული. მოსახლეობა ადრიდანვე ემზადება, რაც აჭარის ხელისუფლების, რაიონული მმართველობის ორგანოების განსაკუთრებული ყურადღებითა და ხელშეწყობით მიმდინარეობს. ტრადიციისამებრ, მთის რაიონებში ზამთრის პერიოდში გაკვეთილი არ ცდება, დიდთოვლობის პერიოდშიც კი სკოლასა და მოსახლეობას შორის კავშირი არასოდეს წყდება. გასულ სასწავლო წელს, მკაცრი ზამთრის გამო გადავწყვიტეთ ავტონომიურ რესპუბლიკაში ერთი კვირით შეგვეწყვიტა სწავლა. მთის სკოლებმა კი მუშაობის გაგრძელება მოითხოვეს, ვინაიდან მათთან ეს პრობლემა გადაჭრილია. მესამე წელია სკოლებს უფასოდ ეძლევათ თხევადი საწვავი გათბობისათვის, მინა და სხვა, რაც აუცილებელია ზამთრის სეზონისათვის. ასეთ საკითხებს უმთავრეს შემთხვევაში, უშუალოდ ბატონი ასლან აბაშიძე აკონტროლებს.

— რამდენი უმაღლესი სასწავლებელია აჭარაში?

— სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი ოთხია: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის ინსტიტუტი, საზღვაო აკადემია, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ბათუმის ინსტიტუტი. ფასიანი უმაღლესი სასწავლებელი კი ცამეტია.

— რას უსურვებდით მოსწავლე-ახალგაზრდობას?

— ბეჯითად სწავლას, ბედნიერ და მშვიდობიან მომავალს, თავისუფალ, ძლიერ, ერთიან და მდიდარ საქართველოში ცხოვრებას!

— ქალბატონო ნანი, გარდა იმისა, რომ განათლების მინისტრის მძიმე მოვალეობა გაკისრიათ, აჭარის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეც ბრძანდებით. თუ შეიძლება, ახლა ამ კუთხით ვისაუბროთ...

— უპირველესად აღვნიშნავ, რომ ჩვენს გვერდით იღვწის საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია, რომლის პრეზიდენტია ქალბატონი მაგული გოგიტიძე. საბჭოს სხდომებზე რეგულარულად განვიხილავთ ქალებისთვის და არა მარტო ქალებისთვის საჭირბოროტო პრობლემებს. ამას წინათ დავაყენეთ ბავშვთა მაწანწალობის საკითხი, — შეიქმნა შტაბი, რომლის წარმომადგენლები მივამაგრეთ ადგილებზე მიკრო-რაიონების მიხედვით. ვერ ვიტყვი, რომ ეს პრობლემა სავსებით გადაიჭრა, მაგრამ მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. სულ ახლახან განვიხილეთ საკითხები ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების და ნარკომანიის შესახებ, ნარკომანია ხომ ავადმყოფობაა, უკვე ჩამოყალიბებული ნარკომანის განკურნება ძალიან ძნელია, ამიტომ, პირველ რიგში, უნდა ვიზრუნოთ პროფილაქტიკისათვის — მესამე-მეოთხე კლასელ ბავშვს უკვე უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია ნარკოტიკების მომაკვდინებელი გავლენის შესახებ. ყოველ ღონეს ვიხმართ სკოლებსა და ინსტიტუტებში, რომ ახალგაზრდობა არ მივუშვათ ამ „თეთრ სიკვდილთან!"

ესაუბრა ნანა დავითაშვილი



საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს
ალექსანდრე ონასისის პრემია გადაეცა



# ეს სოფელი საქართველოს გადაარჩენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ობოლმა ბავშვებმა დედა და მზრუნველი ოჯახი იპოვეს









დავით ხიზანიშვილის ფოტოები

საქართველოს ობოლი და მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის საერთაშორისო ორგანიზაციამ „SOS–KINDERDORF INTERNATIONAL"-მა თბილისში, ნუცუბიძის ქუჩის IV მიკრორაიონში ააშენა სოფელი, სადაც იცხოვრებს 100-მდე სხვადასხვა ასაკის გოგონა და ბიჭი, რომლებსაც არა ჰყავთ მშობლები, არა აქვთ სახლი. ისინი სწორედ აქ ჰპოვებენ საკუთარ კერას და, რაც ყველაზე მთავარია, დედას.

სოფლის მშენებლობას ხელმძღვანელობდა საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციის საქართველოს განყოფილება — „საქართველოს SOS ბავშვთა სოფლის" ეროვნული საკოორდინაციო ბიურო.

ცოტა რამ ისტორიიდან:

ბავშვთა სოფლის შექმნის იდეა ეკუთვნის ავსტრიელ ჰერმან გმაინერს, რომელმაც მთელი სიცოცხლე ამ იდეის ხორცშესხმას შეალია, და რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ისე წავიდა სამუდამო სასუფეველში, საკუთარი სახლი არა ჰქონია.

მაინც ვინ იყო ჰერმან გმაინერი?

იგი ავსტრიაში, უბრალო გლეხის მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა 1919 წელს. დედა ადრე დაკარგა და უმცროსი და-ძმის ალზრდა 16 წლის უფროსმა დამ — ელზამ იკისრა. სწორედ მისგან ჩაენერგა ჰერმანს ბავშვთა სოფლის იდეა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ჰ. გმაინერმა ინსბრუკის უნივერსიტეტში მიიღო სამედიცინო განათლება. ამ პერიოდში მან ნახა და განიცადა ომისშემდგომი ახალგაზრდებისა და ლტოლვილების გასაჭირი. ოჯახის გარეშე დარჩენილებში უიმედობა, სასოწარკვეთა, დაბნეულობა, ნიჰილიზმი სუფევდა. სულიერ მოთხოვნილებათა გაუფასურებამ საგანგაშო სტატისტიკური მონაცემები გამოიწვია, ამიტომ საზოგადოებამ გადაწყვიტა, ბავშვებისა და მოზარდებისათვის სოფლების სახით შეექმნათ დასახლებები, სადაც ობოლი და უპატრონო ბავშვები თავს საკუთარ სახლში იგრძნობდნენ.

ჰერმან გმაინერმა 1949 წელს დააარსა პირველი სოფელი, რომლის დირექტორიც თავად იყო. შემდგომში იგი ხელმძღვანელობდა ანალოგიური სოფლების მშენებლობას როგორც ავსტრიაში, ისე ევროპის სხვა ქვეყნებში.

1963 წელს ბავშვთა სოფლების მშენებლობა დაიწყო განვითარებად ქვეყნებში — აზიაში, ამერიკაში... ამას მოჰყვა ბავშვთა სოფლების კავშირების დაფუძნება, რომლის მიზანი იყო მოეპოვებინათ საჭირო სახსრები განვითარებად ქვეყნებში ბავშვთა სოფლების ასაშენებლად და შესანახად. 1964 წელს შეიქმნა საერთაშორისო SOS — ბავშვთა სოფლების ცენტრალური კავშირი, რომლის პრეზიდენტი გარდაცვალებამდე (1989 წ.) ჰერმან გმაინერი იყო. ამჟამად გერმანიაში არსებობს ჰერმან გმაინერის ფონდი, სადაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან მხოლოდ ერთი მიზნით შემოდის შემონაწირები, — გაიზარდოს ბავშვთა სოფლების ქსელი და იქ მოზარდებმა, როგორც საკუთარ სახლში, ისე იცხოვრონ, აღიზარდონ და სწორი ნაბიჯები გადადგან დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე.

ახლა თავად ბავშვთა სოფელზე: მისი იდეა ოთხ ძირითად პრინციპს ემყარება:

1. დედა — სოფლის დედები ის ქალები არიან, რომლებიც ცხოვრებას უძღვნიან მათზე მინდობილი ბავშვების მოვლა-პატრონობას. დედის ფუნქცია განუზომელია — მან უნდა გასცეს ის სითბო და სიყვარული, რაც აგრერიგად აკლდათ უპატრონოდ მიტოვებულ პატარებს.

2. და-ძმა — ბავშვთა სოფლებში ხდება ობოლი და მზრუნველობას მოკლებული ბავშვების აყვანა. ღვიძლი და-ძმანი ერთად რჩებიან და ერთ დედასთან იზრდებიან. ოჯახი, როგორც წესი, შედგება დედისაგან და 4-დან 9-მდე სხვადასხვა ასაკის ბიჭებისა და გოგონებისაგან. ახალ დედასთან უკეთ შეგუების მიზნით, ბავშვების აყვანა ხდება 9 წლის ასაკამდე.

3. სახლი — იგი არ განსხვავდება ჩვეულებრივისაგან. აქ არის საძინებელი, სააბაზანო, სასადილო და სამზარეულო ოთახები. ბავშვები დედას ეხმარებიან ყოველდღიურ საქმიანობაში და თან იმასაც სწავლობენ, რაც ცხოვრებაში გამოადგებათ. ბავშვთა სოფლის სახლი მოზრდილთათვის რჩება მშობლიურ კერად, სადაც მათ ყოველთვის შეუძლიათ დაბრუნება.

4. სოფელი შედგება 10-12 სახლისაგან. ბავშვები დადიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და მონაწილეობენ კულტურულ-რელიგიურ ცხოვრებაში. სოფელს ჰყავს ხელმძღვანელი — დედების მრჩეველი და პასუხისმგებელი ორგანიზაციულ საკითხებზე. მას ეხმარებიან სხვა თანამშრომლებიც: პედაგოგი, ფსიქოლოგი, ოსტატი.

„მამის" ფუნქცია მამაკაც თანამშრომლებზეა განაწილებული.

აი, ეს გახლავთ, ჩვენო ძვირფასო მკითხველებო, ბავშვთა სოფლის მოდელი და პრინციპი, რომელიც ავსტრიელ ჰერმან გმაინერს ეკუთვნის.

ახლა იმაზე მოგითხრობთ, როგორ გაჩნდა ბავშვთა სოფლის აშენების იდეა საქართველოში და როგორ დაგვირგვინდა ეს უკეთილშობილესი საქმე.

1989 წელს მთელი მსოფლიო შეაძრწუნა სომხეთში

დატრიალებულმა სტიქიურმა მიწისძვრამ. იავარქმნილი ქალაქებისა და სოფლებისაკენ დაიძრნენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ამ დროს პირველად ჩამოდის სომხეთში და მერე საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაცია SOS ბავშვთა სოფლის პრეზიდენტი ავსტრიელი ჰელმუტ კოტინი, რომელიც 12 წლის ასაკში მოხვდა ბავშვთა სოფელში და შემდგომ მან თავად ააშენა ასეთი 50 სოფელი და ამდენივე საბავშვო ბაღი, სოციალური ცენტრი ვიეტნამში, საიგონში... იგი გმაინერის მემკვიდრედ ითვლება და მისი მოძღვარის გარდაცვალების შემდეგ საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციის SOS ბავშვთა სოფლის პრეზიდენტი გახდა. მასთან ერთად თბილისში ჩამოდის ჰერმან გმაინერის ფონდის ფინანსების განყოფილების უფროსი მიხაილ გშლისერი. ისინი საქართველოს ბავშვთა ფონდს ესტუმრნენ, გააცნეს სოფლის აშენების იდეა, რომელსაც მხარი დაუჭირა რესპუბლიკის ბავშვთა ფონდის თავმჯდომარემ, ბატონმა ზურა ბერულავამ. თავდაპირველად ნუცუბიძის IV მიკრორაიონში 3,5 ჰექტარი გამოიყო და 1992 წელს მშენებლობა დაიწყო, რომლის მასშტაბები თანდათან გაიზარდა. ამჟამად საქართველოს ბავშვთა სოფელს ხუთ ჰექტარამდე ფართობი უჭირავს. იმავე წელს შეიქმნა ეროვნული საკოორდინაციო ბიურო, რომლის კოორდინატორად და რეგიონალურ დირექტორად დაინიშნა შესანიშნავი ორგანიზატორი ზვიად ბერძენიშვილი, თანაშემწედ — ნინო ჩიტაია, პედაგოგად — ია ბაქრაძე, ფინანსთა რეფერენტად — ზურაბ გორდელაძე. ყველა მათგანს ჰქონდა ბავშვებთან, პედაგოგებთან, საქველმოქმედო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება.

დღეს უკვე ნუცუბიძის პლატოზე გვაქვს შესანიშნავი სოფელი 16 შენობით, სადაც 12 საცხოვრებელი სახლია, ცალკეა ადმინისტრაციული კორპუსი, ავტოფარეხი, სასაწყობო მეურნეობა, ავტონომიური გათბობით, წყლით, ელექტროენერგიით... პროექტის ავტორია აფხაზეთში დაღუპული ნიჭიერი არქიტექტორი თიო გაბუნია.

სოფელმა პირველი ბავშვები შარშან, ოქტომბერში მიიღო და უკვე თორმეტივე ოჯახში გოგო-ბიჭების ჟრიამულია.

— რით დაიწყეთ? ამ კითხვით მივმართეთ ბავშვთა სოფლის რეგიონალურ კოორდინატორს ზვიად ბერძენიშვილს, სოფლის დირექტორს ოთარ ნინუას და პედაგოგს ია ბაქრაძეს.

— რა თქმა უნდა, ბავშვების მიღებით. სოფლის ხელმძღვანელებმა განათლების სამინისტროსთან ერთად შეიმუშავეს სპეციალური დებულება, რომელიც რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში გააგზავნეს და სწორედ მის საფუძველზე მიიღეს ობოლი და მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, აფხაზეთიდან ლტოლვილები, რომელთა დედ-მამა ომმა იმსხვერპლა.

ამჟამად აქ 42 გოგონა და ბიჭუნა ცხოვრობს, მოზარდების მიღება გრძელდება. თორმეტი ქართველი მანდილოსანი, რომლებმაც იკისრეს უაღრესად კეთილშობილი და ჰასუხსაგები მისია — საკუთარი შვილებივით აღზარდონ და მოუარონ ბედისანაბარად დარჩენილებს, მზად არიან მზრუნველი კალთა გადააფარონ მათაც, რომლებიც ამ მზრუნველობას საჭიროებენ.

ბავშვთა სოფელს ცხოვრების საკუთარი წესი აქვს — უბრძანებოდ, რჩევით, შეგონებით, მოფერებით, დაყვავებით. სხვანაირად წარმოუდგენელია, რადგანაც, რაოდინ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მწარე სინამდვილეა — აქ მოიყვანეს ისეთი მოზარდები, რომლებმაც რიგიანათ ხელ-პირის დაბანაც კი არ იცოდნენ, არა თუ წერა-კითხვა, ნორმალური საუბარი.

დღეს ისინი 170-ე საშუალო სკოლაში დადიან [illegible]კარად გამოირჩევიან თანატოლებისაგან როგორც ქცევით, ჩაცმით, ისე სიბეჯითითა და წესრიგით. (მათ საკუთარი ავტობუსი ემსახურება, მათ დედები მორიგეობით აცილებენ).

სოფლის დირექტორია ცნობილი ქართველი მსახიობის ვახტანგ ნინუას ვაჟი — ოთარი.

ბავშვები ნახატებით ამშვენებენ ოფისის კედლებს, ხშირად დადიან ექსკურსიებზე, კონცერტებზე, იტაცებთ სპორტი და ყველაფერი, რაც მშობლების მზრუნველობით განებივრებულ თანატოლებს.

ბავშვთა სოფელს აფინანსებს საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის ოფისი ავსტრიაშია. იქ იგზავნება ყოველკვარტალური ბიუჯეტი, საიდანაც სოფლის ანგარიშზე ირიცხება საჭირო თანხა.

ჩვენ გიული ტატიშვილის ექვსშვილიანი ოჯახის სტუმრები გავხდით. ქალბატონი გიული, ყოფილი ტელეჟურნალისტი მრავალშვილიანი დედის ამპლუაში შესანიშნავად გამოიყურება (არა მხოლოდ გარეგნულად). ჩემი უფროსი ბიჭი 13 წლისაა, — ამბობს იგი, ტყუპებიც მყავს და, საერთოდ, ჩემს ოჯახში ოთხი ციმაკურიძე იზრდება... მართალია, უდიდესი პასუხისმგებლობა ვიკისრე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საკუთარი ადგილი ვიპოვე. მე დედას მეძახიან და ქალისათვის ამაზე სანუკვარი რა უნდა იყოს? სხვისი შვილები არ არსებობენ, ისინი ჩვენია. მათი გულებისაკენ მისასვლელი გზები სულაც არ გამოდგა რთული და მიუვალი, ოღონდ მიეფერე, თავზე ხელი გადაუსვი, გულში ჩაიკარი და უკვე შენია, საკუთარი... მათ ხომ მთავარი — მშობლიური მზრუნველობა აკლდათ და ბავშვთა სოფლის დედებიც ისე შეარჩიეს, რომ ერთმანეთს ვეჯიბრებით შვილების მოვლა-პატრონობაში. რომ გითხრათ, არ გამიჭირდაო, არ დამიჯერებთ, ადაპტაციის პერიოდი არ იყო იოლი, მაგრამ ამას დიდი დრო არ დასჭირდა. ბავშვებს ყველაფერი აქვთ სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, დედისთვისაც იდეალური პირობებია. თუ საჭიროება მოითხოვს და სადმე ვარ წასასვლელი, დეიდა მეხმარება. № 1 სამკურნალო-სადიაგნოსტიკო ცენტრის ექიმი-პედიატრი ციცო დაბრუნდაშვილი ყველა ოჯახის მფარველი ანგელოზია. მას არ სჭირდება არც საგანგებო მოწვევა და არც შეხსენება, როდის მოვიდეს.

მერე ქალბატონი გიულის შვილები გავიცანით, მოვიხიბლეთ მათი თავაზიანი საქციელით, დედასთან დამოკიდებულებით. შეხსენება არ დასჭირვებიათ, ისე დაგვემშვიდობნენ და თავიანთ სამეცადინო მაგიდებს მიაშურეს.

— ვერ წარმოიდგენთ, — განაგრძობს ჩვენი მასპინძელი, როგორ უხარიათ, როდესაც ჩემი ძმა, დედა და მამა გვესტუმრებიან. ბებია, ბაბუა და ბიძა ისეთივე სიყვარულით ავსებენ მათ, როგორსაც ისინი იღებენ ბავშვებისაგან... ყოველ კვირას ბავშვებთან ერთად სიონში დავდივართ, ნეტა განახათ გოგონა, 9 წლამდე კითხვაც რომ არ იცოდა, როგორ ლოცულობს, როგორ სწავლობს. საკუთარი შვილების ქება უხერხულია, მაგრამ, რა ვქნა, სხვანაირად არ შემიძლია...

ვუსმენ და ვტკბები ოჯახური იდილიით. გაპრიალებული ოთახებით, მოწესრიგებული სამზარეულოთი, თანამედროვე ავეჯით და, რაც მთავარია, აქ დასადგურებული დიდი სიყვარულით... მიხარია, რომ პერსპექტივაშია საბავშვო ბაგის აშენება, სადაც მიკროუბნის მკვიდრნიც ივლიან, მზად არის ახალგაზრდობის სახლის პროექტი...

**ჩარიტა მამისეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენგან გულნაკლული არავინ წასულა

**საერთაშორისო საქველმოქმედო ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ჯორჯიან ფაუნდეიშენ“-ი ხუთი წელია რაც არსებობს. მისი დამფუძნებელი ამერიკაში გახლავთ შესანიშნავი ქართველი ახალგაზრდა ექიმი ფსიქონევროლოგი დათო სიგუა.**

**ორგანიზაცია მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნისათვის სამედიცინო-ჰუმანიტარულ დახმარებას, და, მართლაც, 1992 წლიდან საქართველოში სამედიცინო აპარატურისა და მედიკამენტების სახით 23 მილიონი დოლარის ტვირთი შემოვიდა, რომელიც უანგაროდ გაუნაწილდა სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, ლტოლვილებს, საავადმყოფოებსა და ორგანიზაციებს.**

**„ჯორჯიან ფაუნდეიშენ“-ის საქართველოს განყოფილებას ხელმძღვანელობს ქ-ნი ნელი ჯავახიშვილი. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.**



ქალბატონები: — ბელა ორჯონიკიძე, ნელი ჯავახიშვილი, ნინო ჟვანია.



ნელი ჯავახიშვილი (ცენტრში) გივი და ელიზაბედ ზალდასტანიშვილებთან

**— ქ-ნო ნელი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ ჰემატოლოგიის ინსტიტუტში კუაგულოლოგი ბრძანდებით. „როგორ მოხვდით ამ გაუგებრობაში?“**

— ყველაფერი ჩემი ვაჟის — დათოს „ბრალია“. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ასპირანტურის მეორე კურსზე იყო, როცა საქართველოში ამერიკელი ექიმები ჩამოვიდნენ. ერთ-ერთ ოჯახში სტუმრობისას დათო გაიცნეს, მოეწონათ მისი ერუდიცია. ცოტა ხნის შემდეგ, ჩვენთვის მოულოდნელად, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში დათოს სახელზე მოვიდა მოთხოვნა, ჩრდილოეთ კალიფორნიაში ოკლენდის ბავშვთა საავადმყოფოში იწვევდნენ სტაჟირებაზე.

ამერიკაში დათოს სწავლისა და მუშაობის პერიოდი ჩვენს ქვეყანაში დეკემბრის ცნობილ მოვლენებს დაემთხვა. სწორედ მაშინ გადაწყვიტა, გამოეყენებინა თავისი დიდი ნაცნობ-მეგობრობა სამშობლოს სასარგებლოდ. თავდაპირველად მან საქართველოს დახმარების ორგანიზაცია „ექტ-ჯორჯია“ შექმნა კაიზერის ქსელის საავადმყოფოების დირექტორ ჩარლზ კლემონსთან, ექიმ ტრიშ ბლერთან, სასულიერო პირ ბილ რაშბრუკთან და მერილინ მაკქუიმთან ერთად. ამ პერიოდში ჩრდილოეთ კალიფორნიაში დათოს მოწვევით მაშინდელი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ირაკლი მეგრელაძე ჩავიდა ჰუმანიტარული პროგრამის გასაცნობად. იქვე გადაწყდა ახალი ტიპის ორგანიზაცია „ჯორჯიან ფაუნდეიშენ“-ის შექმნა, რომლის პრეზიდენტადაც დათო აირჩიეს, ხოლო საქართველოში ჩემმა ვაჟმა ეს მისია მე, მისთვის ყველაზე საიმედო ადამიანს დამავალა.

**— დათოს ამერიკელმა მეგობრებმა გაუწიეს დიდი დახმარება, თქვენ კი აქ მარტო ვერას გახდებოდით...**

— რა თქმა უნდა. მაგრამ დათოს იქაური ქართველებიც არ აკლებდნენ ყურადღებას. ბატონმა გივი ზალდას-

ტანიშვილმა ოთხი ათასი დოლარი გადასცა ორგანიზაციას წამლების შესაძენად, არც კონსტანტინე სიდამონ-ერისთავი და მარუსია ჭავჭავაძე (ალექსანდრე ჭავჭავაძის მემკვიდრე) დარჩენილან ვალში.

მეც დიდებული ადამიანები ამომიდგნენ მხარში. რა დამავიწყებს მათ ამაგს. უპირველეს ყოვლისა, მინდა დიდი მადლობა მოვახსენო ჯანმრთელობის დაცვის ყოფილ მინისტრს ბ-ნ ირაკლი მეგრელაძეს, ქ-ნ ნინო ჟვანიას, რომელსაც არც ძალა დაუშურებია და არც შესაძლებლობა, რომ დამხმარებოდა, ჩემს უახლოეს მეგობრებს, ასე ვთქვათ, ჩემს „გუნდს" — ექიმებს რამაზ ლამბაშიძეს, ბელა ორჯონიკიძეს, ირმა გოცირიძეს, ზაზა სირაძესა და ქეთი ჯავახიშვილს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე ქალაქის მეორე საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ბატონი თემურ კალანდაძე, რომლის შენობაშიც ვართ შეკედლებული სრულიად უსასყიდლოდ, ეს კი ამ დროში, ხომ გესმით, რასაც ნიშნავს. დიდ დახმარებას გვიწევდნენ საწყობებითა და ტრანსპორტით (სრულიად უანგაროდ) საშენ მასალათა ინსტიტუტი და მისი დირექტორი, ბატონი ჯემალ გაგუნაშვილი, ავიაკომპანია „ორბი" და მისი ხელმძღვანელობა. ჩვენ ხომ სრულიად უსასყიდლოდ, მხოლოდ ენთუზიაზმით ვმუშაობთ და ამიტომ განსაკუთრებით ვაფასებთ უანგარო დახმარებას.

**— და მაინც, კონკრეტულად რას ითვალისწინებს თქვენი საქმიანობა?**

— როგორც წახელწოდება მიგვანიშნებს, ჩვენ საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ორგანიზაცია ვართ. საზღვარგარეთიდან დიდი რაოდენობით მივიღეთ სამედიცინო აპარატურა, ქირურგიული ინსტრუმენტები, შესახვევი მასალა და მედიკამენტები, რომელთაც სამედიცინო დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, ლტოლვილებს და ყველა რეგიონის მოსახლეობას ვუნაწილებთ. შემიძლია სიამაყით აღვნიშნო, რომ სამი წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობისათვის განკუთვნილი ინსულინის პარტია მხოლოდ ჩვენ შემოგვქონდა.

ასევე ვზრუნავთ კიბოთი, გულსისხლძარღვთა სისტემით, ლეიკოზითა და ტუბერკულოზით დაავადებულ ავადმყოფებზე. უყურადღებოდ არც ერთი სამედიცინო დაწესებულება თუ კერძო პირი არ დარჩენილა. გულნაკლული არავინ წასულა, ვისაც კი მოუმართავს. ვითხოვდით მხოლოდ ერთს — ხელთ ჰქონოდათ ფორმა № 27, რომლის მიხედვითაც ჩვენი ექიმები ანაწილებდნენ წამლებს.

**— ქ-ნო ნელი, მე ვიცი, რომ თქვენ ერთი ახალგაზრდა კაცის გაბედნიერებაში დიდი წვლილი მიგიძღვით.**

— დიახ, (ეღიმება), ეს ამ რამდენიმე ხნის წინ მოხდა. ჩემმა მეგობარმა, სასულიერო პირმა ბილ რაშბრუკმა ჰემატოლოგიის ინსტიტუტში პატარა პაციენტების მონახულების შემდეგ ამერიკიდან ორი კონტეინერი სათამაშოები გამოაგზავნა. ვის აღარ შეხვდა ნობათი, ონკოლოგიური საავადმყოფოსა თუ ფთიზიატრიის ინსტიტუტის პაციენტებს. იმდენი იყო, რომ სასტუმრო „აჭარაში" მცხოვრებ ლტოლვილ ბავშვებსაც კი წავუღეთ. სწორედ იქ ვნახეთ ეს ჭაბუკი, მშვენიერი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ორივე ფეხი ჰქონდა მოკვეთილი და კუნძივით იდო. დღე და ღამ არ მასვენებდა მასზე ფიქრი. სწორედ იმ პერიოდში ქ. ერევანში ამერიკელი ექიმები იყვნენ ჩამოსულნი. იქ გავაგზავნეთ ეს ახალგაზრდა და ორივე ფეხის პროთეზი გაუკეთეს. ახლა იგი დაოჯახებულია და შვილიც ჰყავს. იმ დღეს მომაკითხა ოფისში. ისე დამშვენებულა, ვერც ვიცანი. სხვათაშორის, იმ დროს დათოც ჩემთან



ირმა გოცირიძე და ქეთი ჯავახიშვილი

იყო ოთახში და ცოტა არ იყოს გულდაწყვეტილმა მითხრა, ასეთი სიხარულით შენ მეც არ შემხვედრიხარო.

**— ქ-ნო ნელი, რამდენადაც ცნობილი გახდა, ახლა დახმარებები შემცირდა და თქვენ „განვითარების პროგრამაზე" გადახვედით.**

— დიახ, ცოტა გაგვიჭირდა და პარტნიორებს ვეძებთ. ახლა ჩვენ თვითონვე უნდა ვიზრუნოთ ყველაფერზე. კიდევ კარგი, გვერდით ჩემი ვაჟების მეგობრები მყავანან. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროც ხელს გვიწყობს. გრანტიც მივიღეთ და კახეთის რეგიონს მოვახმარეთ. რატომღაც ჩვეულებად იქცა, ყველა დასავლეთ საქართველოს ეხმარება, აღმოსავლეთი კი არავის ახსოვს, არადა, იქაც ხომ არიან ლტოლვილები.

ერთი ოცნება მაქვს — გურჯაანის რაიონში, კერძოდ ვეჯინში, მინდა მოვაწყოთ მეცხოველეობის ფერმა და რძის პროდუქტებით მოვამარაგოთ ტუბერკულოზით დაავადებული ბავშვები, არც კოჯრის ბავშვთა სახლს დავივიწყებთ. რაც მთავარია, „განვითარების პროგრამა" მოსახლეობის დასაქმებას გულისხმობს და ჩვენს ხალხს ცოტათი თუ მაინც შევუმსუბუქებთ მდგომარეობას, თავს ბედნიერად ჩავთვლი.

**— ქ-ნო ნელი, ალბათ ოჯახი დიდად გიწყობთ ხელს ამ კეთილშობილურ საქმეში.**

— რა თქმა უნდა. ჩემი ოჯახი ტრადიციულად ექიმების ოჯახია. მეუღლე რევაზ სიგუა პროფესორი გახლავთ, ნევროპათოლოგი. რძლებიც ექიმები მყავს. მხოლოდ უფროსმა ვაჟმა პაატამ „გვიღალატა" — ინჟინრობა არჩია, (ისე, ერთი დისონანსი, როგორც ჩანს, საჭიროა ოჯახში) და ამიტომ მათთვის სრულიად გასაგები და მისაღებია ჩემი საქმიანობა. მე სხვაგვარად ცხოვრება ვერც წარმომიდგენია.

**— ხომ არაფერზე გწყდებათ გული?**

— ოო! (სევდიანად ეღიმება), ერთი ათი წლით ახალგაზრდა რომ ვიყო, სულ სხვაგვარად ავაწყობდი საქმეს. რა ვქნა, ძალიან მეშინია, ვაი, თუ დრო არ მეყოს...

**— თქვენ ისეთ დიდ საქმეთეს თესავთ, რომ არ შეიძლება ღმერთმა თქვენთვის დრო დაიშუროს.**

**ესაუბრა მანანა იმესაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ბურდას“ მშვენიერებასთან წილნაყარი

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ჟურნალ „ბურდაზე“ უზომოდ შეყვარებული, პროფესიით იურისტი მარინე წიკლაური მეუღლეს ხშირად ეწუწუნებოდა — „ბურდას“ ახალი ნომერი შემაძენინეო. მაშინ მოდების ამ უპირველეს ჟურნალზე ერთგვარი ბუმიც კი იყო და არც ისე იოლი გახლდათ მისი ხელში ჩაგდება. ელგუჯა მამასახლისმა კი იმდენი მოახერხა, „ჭირვეული“ მეუღლე პოპულარულ გერმანულ კომპანიას უშუალოდ დააკავშირა, პირველი კონტაქტები თანდათან საინტერესო და საქმიან ურთიერთობებში გადაიზარდა და რომ დღეს თბილისში უკვე მეოთხე წელია რაც შ. პ. ს. „ელმა“ გერმანულ ფირმა „ბურდასთან“ წარმატებით თანამშრომლობს, ეს მისი პრეზიდენტის ელგუჯა მამასახლისისა და „ბურდა-პფაფის“ (BURDA-PFAFF) ოფისის დირექტორის მარინე წიკლაურის უთუოდ დიდი დამსახურებაა.



თავად მარინემ მოსკოვში, „ბურდას“ სასწავლო ცენტრში გაიარა კურსები და ინდივიდუალური სტილის სწავლების უფლება მოიპოვა. თავისი ცოდნა და გამოცდილება კი შემდგომ თბილისში გახსნილ ანალოგიურ სასწავლო ცენტრში დანერგა და განაზოგადა.

ფირმის მესვეურები მხოლოდ ჩაცმულობაზე როდი ზრუნავენ, მათ მომხმარებელს შეუძლია აქვე განთავსებულ მაღაზია-სალონის, საპარიკმახეროს, კოსმეტოლოგიის კაბინეტის მაღალკვალიფიციური მომსახურებით არა მარტო ისარგებლოს, არამედ თავადაც დაეუფლოს მოყვარული მკერავის, მოდელიორის, მანეკენის, კოსმეტოლოგის საკმაოდ მიმზიდველსა და საჭირო პროფესიას, ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რის გარეშეც წარმოუდგენელია თანამედროვე ქალი.

კლუბის—„ბურდა-პფაფის“ პრეზენტაცია შარშან დეკემბერში თურქეთის საკურორტო ქალაქ ანტალიაში გამართულ სიმპოზიუმზე შედგა. ეს არის მოყვარულ მკერავთა ასოციაცია, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის თანამოაზრეებს აერთიანებს. თუ „ბურდას“ დანიშნულება ძირითადად მოდების თანამედროვე დიზაინის პოპულარიზაცია და გავრცელებაა, „პფაფი“ სხვადასხვა მოდელის უმაღლესი კატეგორიის საკერავი მანქანების ერთობლიობაა, რომელიც ამა თუ იმ მოდელის მაღალი ტექნოლოგიით დამუშავების საფუძველს იძლევა.

ფირმა „ელმა“ მხოლოდ „ბურდა-პფაფთან“ თანამშრომლობით როდი შემოიფარგლება. გერმანული „ფრიზელინი“, „მადეირა“ და პოლონური „პასაპი“ ის ფირმებია, რომელთანაც ურთიერთობა უფრო მრავალფეროვანსა და დახვეწილს ხდის თანამედროვე ინდივიდუალურ სტილს.

სალონი მხოლოდ ქალებისთვის როდია განკუთვნილი. აქვე იკერება მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმელი, ქალის თეთრეული, მზადდება ლოგინის თეთრეულის ნიმუშები, კერავენ საქორწინო კაბებს... მაღაზია-სალონში კი კერვის მოყვარულებს შეუძლიათ კერვისათვის საჭირო ყველა ნივთის შეძენა სხვადასხვა ასორტიმენტის ქსოვილიდან ღილებისა და საკერავი ძაფების ჩათვლით. აქვე გეძლევათ საკერავი მანქანების ფართო არჩევანის საშუალება.

„ბურდას“ მოყვარულ მკერავთა კონკურსი, რომელიც ყოველწლიურად იმართება, ხელს უწყობს ჩვენი მოდების საერთაშორისო არენაზე დემონსტრირებას.

მართალია, ფასები ბევრად „სოლიდურია“ ბაზრობის ფასებთან შედარებით, სამაგიეროდ, აქ შეძენილი ნაწარმის ხარისხი ტოლს არ დაუდებს საკმაოდ გახმაურებული უცხოური ფირმების პროდუქციას.

ასე რომ არ იყოს, „მის საქართველო 1997“-ის ჩაცმულობას ამ ფირმას არ მიანდობდნენ.

ფირმა „ელმას“ მომსახურებით არა მარტო თბილისელები სარგებლობენ, არამედ მის ფილიალებში რუსთაველ, ქუთაისელ, თელაველ თუ ზესტაფონელ მოდის მიმდევრებსაც შეუძლიათ მშვენიერების სამყაროს ეზიარონ. სხვა ქალაქებშიც არის ფილიალების გახსნის მცდელობა.

გინდათ, დარწმუნდეთ „ბურდას“ სიკეთეში?

გნებავთ, ჩაიცვათ მოხდენილად და ელეგანტურად გამოიყურებოდეთ?

ეწვიეთ დავით აღმაშენებლის 120 ნომერში განთავსებულ ფირმა „ელმას“. აქ თქვენ უმაღლესი გემოვნებით შემოთავაზებულ მომსახურეობასთან ერთად მისი ახალგაზრდა დიასახლისის მარინე წიკლაურის სათნო და თბილი ღიმილი შემოგეგებებათ.

**ნუნუ კუპრეიშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „მოაგროვე საუნჯე ცათა შინა“

**საოცარი წერილი გამოცხადების შესახებ მიტროპოლიტ კონსტანტინეს კომენტარით, რომელშიც გაეცნობით საგულისხმო ჩვენებას სულის იმქვეყნიურ ცხოვრებაზე**

**წმიდა წერილი იუწყება, რომ აპოკალიფსის პერიოდში კაცობრიობა უამრავი საოცრების მოწმე გახდება, მაგრამ უდიდესი სულიერებაა საჭირო იმისათვის, რომ ბალახის ნამიდან არეკლილი ათინათი მზის სხივად არ ჩავთვალოთ, — სადაც ნათლით მოსილი ანგელოსები სიკეთეს გააბრწყინვებენ, იქვე ბნელეთის მოციქულები, სიკეთის ნიღბით, დიდ სასწაულებს მოიმოქმედებენ; ამის შესახებ მაცხოვარი ბრძანებს. „არიან სულნიცა საეშმაკონი მოქმედნი სასწაულთანი“ და გვაფრთხილებს: „ეკრძალენით ცრუ წინასწარმეტყველთა და ანტიქრისტეს მიმდევართა, რომელნი მოვიდიან თქუენდა სამოსლითა ცხოვართაითა, რამეთუ შინაგან იყუნენ მგელ-მტაცებელ“.**

**სწორედ სიცრუის შიშით და უფლის სიყვარულით ვეწვიეთ მიტროპოლიტ კონსტანტინეს, რომელმაც ახსნა-განმარტება მოგვცა ერთი, ჩვენი აზრით, საინტერესო გამოცხადების შესახებ.**

**სანამ მეუფის კომენტარს წარმოგიდგენდეთ, გაგაცნობთ იმ გოგონასთან საუბარს, რომელსაც გამოცხადება ჰქონდა და აქვე დავსძენთ, რომ ვითვალისწინებთ რესპონდენტის თხოვნას და მის ვინაობას არ ვამხელთ.**

**— რელიგიურ ოჯახში გაიზარდეთ?**

— არა, მაგრამ ჩემი მშობლები არც ათეისტები ყოფილან.

**— რა საქმიანობას ეწევით?**

— ვსწავლობ სამედიცინო ინსტიტუტში და ერთ-ერთი ეკლესიის მრევლი ვარ.

**— რამდენიხანია, რაც ეკლესიურად ცხოვრობთ?**

— ჩემი ძმის გარდაცვალების შემდეგ. იგი მამიდასთან ერთად მოჰყვა ავარიაში 1994 წლის 2 სექტემბერს, მამიდა ადგილზევე გარდაიცვალა, თვითონ კი 19 წლის შესრულდა და, 9 ნოემბერი მისი იმქვეყნიური დაბადების დღეც გახდა. დიდ პანაშვიდს ვახდევინებთ ხოლმე ამ დღეს და განსაკუთრებით ვლოცულობთ მისი სულის საოხად. დედა ამბობს: თავიდანვე რომ ეკლესიურად გვეცხოვრა, ეს უბედურება არ დაგვემართებოდაო.

**— ვინ დაგეხმარათ სულიერების თვალსაზრისით?**

— მთელი ოჯახი რომ ასეთ საშინელ მწუხარებაში ჩავვარდით, შევეცოდეთ კეთილ ადამიანებს და ეკლესიაში წაგვიყვანეს. ეკლესიაში მანამდეც შევდიოდით, სანთლებს სახლშიც ვანთებდით, მაგრამ მარტო სანთლის დანთება და პირჯვრის გადაწერა, მორწმუნეობა არ ყოფილა თურმე, არც მარხვა და ლოცვა ყოფილა გადამწყვეტი. გვასწავლეს, რომ მარხვას, ლოცვას, სანთელს, საკმეველს, ჯვარსა და წმიდა ზიარებას მაშინ აქვს ძალა და მადლი, როცა ადამიანი გულს გაისუფთავებსო. ჩვენ მანამდე გვეგონა, ყველას წმინდა გული გვქონდა, მაგრამ როდესაც ღრმად ჩავწვდით სარწმუნოების ფესვებს, დავრწმუნდით, არც ისე მარტივად ყოფილა საქმე...

**— ახლა შენი გამოცხადების შესახებ მოგვიყევი.**

— დიახ, მოგახსენებთ, მაგრამ მანამდე ერთ სიზმარს მოგიყვებით. საერთოდ, სიზმარი სხვადასხვაგვარი ყოფილა, ზოგს კეთილი ანგელოზი აჩვენებს თურმე, ზოგს — ბოროტი. მე რომ ორმოცის წინა დღეს დამესიზმრა ჩემი ძმა, დარწმუნებული ვარ, ბოროტს იქ ხელი არ ჰქონდა. იცით, რა მითხრა? რად მინდა ამხელა სუფრას რომ მიმზადებთ, მე პატარა სუფრაც მეყოფოდაო, თან ძალიან გულმოსული იყო. ორმოცი შობის მარხვაში იყო და მისთვის საკურთხი პატარა მაგიდაზე მოვაწყეთ, სამარხო კერძებით, დიდ დარბაზში კი ხორცეული გავშალეთ, თანაც ხარჯი ჩვენი ოჯახის მატერიალურ შესაძლებლობებს აღემატებოდა.

ეს მოხდა 1995 წლის 12 იანვარს, ძველით ახალი წელი ახლოვდებოდა. დედამ საახალწლოდ ბიძასთან გამგზავნა რამდენიმე დღით. კარი გამოვაღე თუ არა, საშანელი ტკივილი ვიგრძენი გულის არეში, დედა შეშინდა და წასვლა დამიშალა, მაგრამ უკეთ რომ ვიგრძენი თავი, მაინც წავედი. ბიცოლამ ორჯერ დამალევინა ყავა და ორჯერვე მისმა მეზობელმა მიმკითხავა (დედისგან გაფრთხილებული ვიყავი, ყავაზე აღარ მემკითხავებინა, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ვერ ვიჯერებდი, რომ მკითხაობა მართლა ცოდვა იყო). მთელი ღამე ვწრიალებდი... ის იყო ჩამთვლიმა, რომ რაღაც ძალის მოახლოება შევიგრძენი, გავახილე თვალი და ვხედავ: ჩემი ძმა მიახლოვდება... რა დამემართა იმ წუთებში, ვერ აგიწერთ, — თან გამეხარდა, თან შევძრწუნდი, მინდოდა მეკივლა, მაგრამ ხმა ჩამიწყდა, ისლა მოვახერხე, რომ საბანი თავზე გადავიფარე, ჩემი გულის ბაგა-ბუგი მესმოდა... უცებ ვიგრძენი, საწოლმა დაიწია, გულისკანკალით გამოვიხედე საბნის ქვეშიდან და ვხედავ: ჩემი ძმა ჩამომჯდარა საწოლის კიდეზე, იღიმება და მეუბნება: რამ შეგაშინა, გოგო, მოდი, მაკოცე, ოღონდ ისე არა, როგორც იცოდა, ლოყას რომ მომაგლეჯდი ხოლმე, მერე თვითონვე გადმოიხარა და ნაზად მაკოცა, მეც კრძალვით ვეამბორე. შიშმა გამიარა, წამოვჯექი და გახარებულმა ვკითხე: საღ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარ, როგორ ხარ, ან ის მაინც მითხარი, აქ როგორ გაჩნდი მეთქი? — მე ძალიან კარგად ვარ, თქვენ კი ძალიან მეცოდებით, ასე რომ დამტირით და განიცდით უჩემობასო, ყველაზე მეტად დედა მეცოდებაო. არ მითხრა, ახლა, ღმერთთან ვარო! — ვუთხარი უნდობლად. არა, მე იქ ვინ მიმიშვებს, ღმერთთან დიდ წმინდანებსაც უჭირთ მისვლა, მე წმინდა მამა ვასილისთან ვარო.

ჩვენი ადგილსამყოფელი თქვენგან შორს არ არისო. მე ხშირად სახლში ვარ, ოღონდ თქვენ ვერ მხედავთო. გუშინ, სახლიდან გამოსვლისას, კარებში რომ ცუდად გახდი, თუ გული გაგისკდებოდა, ახლა უკვე ჩვენთან იქნებოდიო. მერე მითხრა: თუ გინდა წაგიყვან და გაჩვენებ იქაურობასო, სიხარულით დავთანხმდი, ოღონდ ვერ გეტყვით, როგორ წავედი. ნამდვილი მე იქ გავყევი, ჩემი სხეული კი საწოლში დარჩა. მივადექით თეთრ ჭიშკარს, კარიბჭის იქეთ, მაგიდასთან ახალგაზრდა კაცი იჯდა და სიას ადგენდა, მე რომ დამინახა, იკითხა: — ეს ახალია? — არა! — მიუგო ჩემმა ძმამ, დასათვალიერებლად მომყავს. მერე მე მომიბრუნდა და ამიხსნა: აქ ახალი მოსულები ეწერებიანო.

იქვე, მარჯვნივ, თეთრი კიბე იყო ალმართული თვალუწვდენელ სიმაღლეზე. იმ კიბეს ერთადერთი ქალი მიუყვებოდა, თანაც წუწუნებდა: მარტო რომ მივდივარ, გზაც არ ვიცი, როდის უნდა ავიდე ამხელა კიბეზეო. ძმამ გადმომილაპარაკა: მაგას რა აქვს საწუწუნო, ცაში მიდის, ამათ იკითხონ, ამ საცოდავებმა, ჯოჯოხეთში მიდიანო. მოვიხედე და დავინახე, მარცხნივ, უფსკრულში შავი კიბე ჩადიოდა, იქვე ბევრი ხალხი იყო რიგში ჩამდგარი. ხმას არვინ იღებდა. მერე ის ახალგაზრდა კაცი წამოდგა, შეკრიბა ყველა და ერთად ჩაიყვანა შავ კიბეზე. დავინტერესდი, სად მიჰყავს-მეთქი და ჩავიხედე ქვემოთ, — სულ ბოლოს ეს კიბე შემზარავ უფსკრულთან მთავრდებოდა. მერე წამომიყვანა ჩემმა ძმამ და მოვხვდით ძალზე სასიამოვნო გარემოში, შევედით ერთ გაცისკროვნებულ ოთახში, ეს ელვარება არც მზის სინათლეს ჰგავდა, არც ელექტრონის შუქს... ენით აღუწერელ ბრწყინვალებაში იდგა წმინდანი, თითქოს მისი სახეც ანათებდა, თვალს ვერ ვუსწორებდი.

ჩემი ძმა კრძალვით მიუახლოვდა წმინდანს და თავდახრილმა უთხრა: წმინდაო მამა ვასილ, მოგიყვანეთ ჩემი და, თან მორიდებით გადგა უკან. შევხედე წმინდანს და ვხედავ: ხელში ორი ყავის ჭიქა უჭირავს, მკაცრად მიყურებს და მეკითხება: რა არის ეს?! ვიცანი, ზუსტად ის ჭიქები იყო, რომლითაც წინა დღეს ბიცოლასთან ყავა დავლიე. მივხვდი, თავის მართლება აღარ გამოვიდოდა, ზუსტად გუშინდელი ფიგურები მოჩანდა ჭიქებში, — წმინდანს ყველაფერი სცოდნია და ამის გამო მირისხდებოდა, — მაპატიეთ! მეტს აღარ ვიზამ! — ძლივს ამოვღერღე აკანკალებულმა. — კარგი, თუ აღარ გაიმეორებ, წადი! — მითხრა და მაშინვე გამოვბრუნდით. ცოტა რომ გამოვცდით იქაურობას, ჩურჩულით ვკითხე ჩემს ძმას: კი, მაგრამ შენ არაფერი ცოდვა არ გქონდა, ასეთ კარგ ადგილზე რომ მოგიყვანეს? ცოდვების მეტი რა მქონია, მაგრამ მე იმათ ცოდვებად არ ვთვლიდი, ვერც მე მოვიდოდი აქ, თქვენ თუ არ დამეხმარებოდითო, თქვენმა ლოცვამ, თქვენმა სიკეთემ მიხსნა, განსაკუთრებით დედის ლოცვა შემეწიაო. აქ ყველაფერი ისმის და იწერება! თუ გინდა, მოგასმენინებ თქვენს ხმებსო; მერე გამოიტანა რაღაც თეთრი, წიგნივით იყო. იმ წიგნიდან ლოცვის ხმები ისმოდა: გავიგონე მამაჩემის ლოცვა, მერე დედის, ჩემი დის, ჩემი... ერთხელ მარტო ვიყავი სახლში და გალობით ვცადე ლოცვის თქმა, ისეთი საშინელ ხმა ამომივიდა, მაშინვე გავჩუმდი, თქვენ წარმოიდგინეთ, ის ხმაც კი ჩაწერილი იყო. ჩემს ძმას გაეცინა: რა მაგარი გალობა გცოდნიაო, შემრცხვა და მეც გავიღიმე. სულ ბოლოს მომასმენინა მის სახელზე შეკვეთილი წირვა, რომელიც ქაშუეთის ეკლესიაში გადავახდევინეთ. მერე ვკითხე: ამბობენ, მიცვალებულს ჯოჯოხეთსაც შემოატარებენო, შენც დაგათვალიერებინეს? კი, მაგრამ ისეთი საშინელება ვნახე, ისე ავკანკალდი, რომ ნახევრამდე მიმიყვანეს და შევეცოდე, უკანვე დამაბრუნესო. მოულოდნელად შევედით ოთახში, სადაც დასვენებული იყო ჩემი ძმის უსიცოცხლო სხეული, საცოდავი და თავგადახოტრილი, ისეთი, როგორიც დაკრძალვის დღეს იყო. რა არის ეს?! — ვკითხე შეცბუნებულმა. ეგ ჩემი გვამია, ნამდვილი მე კი, აი, აქ ვარ, შემომხედე, მე ვარ შენი ძმა. იქიდან მალე გამოვედით. გზაში ვკითხე: — ჩვენც რომ გარდავიცვლებით, ასეთ კარგ ადგილზე მოვალთ? ის ჩაფიქრდა და მიპასუხა: თქვენ ლოცულობთ ჩემთვის, თქვენთვის კი ვინ ილოცებს, არ ვიციო. მე ცოდვა-მადლის გარჩევა არ ვიცოდი, თქვენ კი უკვე ყველაფერი იცით, ამიტომ თქვენვე უნდა უშველოთ თქვენს თავსო. გამოსასვლელისკენ რომ მოვდიოდით, სევდიანად შემომხედა და მითხრა: დედა მეცოდება ძალიანო, მერე დამარიგა: ახლა რომ დაბრუნდები, უკვე გათენებული იქნება, მაგათთან არაფერი თქვა, წადი პირდაპირ სახლში და დედას მოუყევი რაც ნახე, ოღონდ, როგორც იცი ხოლმე: დამესიზმრაო, არ თქვა, ამას გამოცხადება ჰქვია, მე ახლა გამოგეცხადე. თუ არ გჯერა, რომ ხშირად მართლა თქვენთან ვარ, სახლში მისვლისთანავე აბაზანაში შედი, იქ ბევრ თეთრეულს ნახავ, გუშინ დედა ძალიან ბრაზობდა შენზეო.

იმ თეთრ ჭიშკარს რომ გამოვცდით, ჩემი ძმა დამემშვიდობა და მე უკვე ჩემს სხეულში აღმოვჩნდი. როგორ მოხდა ეს, ვერ აგიხსნით... მართლა გათენებულიყო. მაშინვე ავდექი და სახლში წავედი, დედას მოვუყევი ყველაფერი, მერე კი აბაზანაში შევედი, — უამრავი თეთრეული იყო დაწყობილი. რა არის ეს? — ვკითხე დედას. — რა არის, შვილო, და თურმე ნამიანი თეთრეული შეგიწყვია კარადაში, დაგვიწყებია და დაობებულა. გუშინ რომ წახვედი, მაშინ ვნახე და მთელი დღე შენზე ვბრაზობდიო.

**— სხვა დროსაც თუ გქონია გამოცხადება?**

— არა, გამოცხადება არა, მაგრამ საოცარი სიზმრები კი მაქვს, რომელთაგან მოგიყვებით მხოლოდ ორს: პირველ ხანებში, ჩვენს ოჯახში ყველა ვეზიარებოდით მამის გარდა. ერთხელაც მესიზმრა: უფალი მობრძანდა და მეუბნება: მამაშენს უთხარი, აღსარება თქვას და აუცილებლად ეზიაროსო. მე ვუპასუხე: ხომ ლოცულობს, უფალო, განა საკმარისი არ არის? არაო, — აღსარება უნდა თქვას აუცილებლად, ცოდვები მოინანიოს, თორემ ვერ ცხონდებაო.

გავიღვიძე თუ არა, მამას მოვუყევი სიზმარი და ისიც იმ დღიდანვე მოემზადა აღსარებისათვის. საზიარებლად რომ უნდა წასულიყო, იმ დილით დამესიზმრა: ჩემს ოთახში ვარ და ვხედავ, სამზარეულოს კარებზე ჩიტი შემომჯდარა, რომელიც ცხარე ცრემლებით ტირის და ვილაცას ეხვეწება: არ შეჭამო! არ შეჭამო! გამიკვირდა, ნეტავი ვის ელაპარაკება ეს ჩიტი, ან ცრემლები რატომ სდისმეთქი. ისე ხმამაღლა ტიროდა, მისმა ქვითინმა გამომაღვიძა, სამზარეულოდან ყავადანის თუხთუხი ისმოდა. გავედი და ვხედავ: მამა ყავას ადუღებს, მან იცოდა, ზიარებისთვის უზმოდ რომ უნდა წასულიყო, მაგრამ გაუცნობიერებლად, ჩვეულებისამებრ მოადუღა ყავა, მე კი იმ წუთებში ეს ჩვენება ვნახე...

საუბარს გოგონას დედაც ესწრებოდა, რომელმაც ერთი საოცარი შემთხვევა გაიხსენა:

— ჩემი ბიჭი ჯერ ორი წლის არ მყავდა, ერთ ღამეს უცებ წამოვარდა საწოლიდან, ტანსაცმელს იგლეჯდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თან ჩვენი მეზობლის სახელს გაჰკიოდა. როგორ აღარ ვცადეთ, ბავშვი დაგვემშვიდებინა, მაგრამ არაფერმა გაჭრა, კივილს უმატებდა და ხელებს მეზობლის სახლისკენ იშვერდა. ავიყვანეთ ბიჭი და ჩავიყვანეთ მეზობელთან. ის ქალი ხის ქვეშ დაგვიხვდა. გაგვიკვირდა, შუაღამისას ზეზე რომ იყო, ის კიდევ ჩვენმა გამოჩენამ გააოცა. ბავშვი მიაფრინდა და ჩვენსკენ აღარც გამოუხედავს, იმ ღამეს მასთან დარჩა. მეორე დღეს მეზობელმა მითხრა: ბავშვს საკინძეზე ხელი არ გაუშვია, ისე ეძინაო, თანაც საიდუმლოდ გამიმხილა: თქვენ წუხელ ვერ შენიშნეთ, რომ უკვე თოკი მქონდა ხეზე ჩამობმული, თავის ჩამოხრჩობა მინდოდაო.

## მიტროპოლიტ კონსტანტინეს კომენტარი ამ უჩვეულო ამბავზე

**— მეუფეო, რას გვეტყვით ამ გამოცხადების შესახებ?**

— გამოცხადება ალეგორიულად მიგვანიშნებს იმ ჭეშმარიტებაზე, რაც შეიძლება ხდებოდეს აქედან წასული სულების მიმართ. ეს გამოცხადება ჭეშმარიტია ალეგორიულობით და არა იმით, რომ ნამდვილად არსებობს თეთრი და შავი კიბე, სულს კიბე არ სჭირდება, არც რაიმე ბარიერი არსებობს მის წინაშე. თეთრი კარიბჭე სიმბოლური სახეა, სული ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეჰყავთ იმ სანახებში, სადაც უნდა აჩვენონ ზეციური საიდუმლო.

**— ამ გამოცხადებამ გამახსენა ღირსი თეოდორას გამოცხადება. ჩემი აზრით, თეთრი წიგნი, საიდანაც ხმები ისმოდა, ანალოგიურია იმ თეთრი ყუთისა, რომელიც საზვერეების გავლისას იცავდა თეოდორას სულს.**

— ჭეშმარიტად ამგვარი ამბავია: სხვადასხვა ნივთიერი სახით მოცემული ეს სახესხვაობანი წმინდანის ლოცვით გადმოცემული საიდუმლო მადლია, რომელიც ხელს უწყობს სულის ზეაღსვლას.

**— კი, მაგრამ ამ გარდაცვლილის ოჯახის წევრები წმინდანები რომ არ ყოფილან?**

— ეს არის იმ წმინდა მამა ვასილის საიდუმლო ლოცვის მადლი, რომელთანაც ჭაბუკის სული იმყოფებოდა.

**— ჭაბუკი რომ გარდაიცვალა, მამა ვასილი ზეციდან ლოცულობდა?**

— დიახ, აქაც საიდუმლოდ ხდება... წმინდანებმა იციან, ვინ უნდა მივიდეს მათთან და ისინი უკვე ლოცულობენ მისთვის.

**— ჭაბუკმა რომ თქვა: თქვენი და დედის ლოცვა შემეწიაო?**

— ეს კიდევ იმას ნიშნავს, რომ მშობლები და ახლობლები წმინდა გულით ლოცულობდნენ, ამას დაერთო იმ წირვის მადლი, რომელიც ქაშუეთის ეკლესიაში შეუკვეთეს. დედის ლოცვას დიდი ძალა აქვს, მაგრამ გააჩნია, როგორი ჭეშმარიტი მლოცველია ის დედა და რა მადლი აქვს ღმერთის წინაშე. კონკრეტულ შემთხვევაში, იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ გარდაცვლილი ძალიან ახალგაზრდა იყო და სული დამძიმებული არ ჰქონდა მომაკვდინებელი ცოდვებით.

**— დღევანდელ გაჭირვებულ ცხოვრებაში ბევრს არ ძალუძს შეკვეთილი წირვა გადაახდევინოს, ან დიდი მოწყალება გაიღოს მიცვალებულთა სახელზე...**

— ამ შემთხვევაში უნდა აღასრულონ პანაშვიდი, რომელიც აგრეთვე ძალიან ეხმარება მიცვალებულის სულს. საერთოდ, მატერიალური კეთილდღეობა არავითარ კავშირში არ არის ცხონებასთან. აბა გაიხსენეთ, მდიდრის 100 დრაჰკანი და ღარიბი ქვრივის 2 მწულილი, — რა უთხრა ქრისტემ მოწაფეებს? — ამ კაცმა უმცირესი შესწირა თავისი მონაგებიდან, ღარიბმა დედაკაცმა კი უმეტესიო, გახსოვთ, რა თქვა მაცხოვარმა მდიდრის ცხონებაზე: აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი დაიმკვიდრებს სასუფეველსო!

**— ამ მაგალითების მოხმობით, შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ღარიბი ყოველთვის ცხონდება, მდიდარი კი...**

— არა, ეს ასე არ არის, — ზოგი კაცი უქონელია, არაფერი გააჩნია, მაგრამ ისეთი ხარბი და ბოროტი გული აქვს, შესაძლებლობა თუ მიეცემა, მთელი ქვეყნის სიმდიდრეს მიისაკუთრებს, ასეთი კაცი აბა როგორ ცხონდება?! სულის ცხონებისათვის არც სიმდიდრეს, არც სიღარიბეს, არც არანაირ რეგალიებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ის, ვინც ჯეროვან ქველმოქმედებას არ ეწევა, ვინც ღვთის მცნებების უგულებელმყოფელია, როგორი ბრძენი და სახელგანთქმულიც უნდა იყოს, რა დამსახურებებიც უნდა ჰქონდეს ხალხის წინაშე, სასუფევლის ღირსი მაინც ვერასოდეს გახდება. დაიმახსოვრეთ: ვერც სიმდიდრე, ვერც სიღარიბე, ვერც სიბრძნე და ამქვეყნიური სახელდიდება ვერასოდეს ვერ აცხოვნებს სულს. კაცი მხოლოდ და მხოლოდ გულით ცხონდება და გულითვე წარწყმდება!

**— როგორ გავიწმინდოთ გული?**

— უპირველესად ცოდვები უნდა მოვინანიოთ. საჭიროა სჯულის აღსრულება: წირვა-ლოცვაზე დასწრება, ღვთისა და მოყვასის სიყვარული, მარხვა, ლოცვა, ჯეროვანი ქველმოქმედება. აქვე აღვნიშნავ, რომ ქველმოქმედი უნდა იყოს თავმდაბალი, ქრისტესმიერი სიყვარულით სავსე. ქველმოქმედებას მაშინ აქვს ძალა და მადლი, თუ ის კეთდება ღვთის გულისათვის, რწმენისათვის და არა თავის გამოსაჩენად, სახელისათვის, ქვენა გრძნობების დასაკმაყოფილებლად. სათვალთვალფერისოდ გაკეთებული სიკეთე არასოდეს სიკეთედ არ ჩაითვლება, პირიქით, უფრო დაამძიმებს ადამიანს. ვისაც სუფთა გული არა აქვს, ის უანგარო ვერასოდეს იქნება.

**— გარდაცვლილის სული რომ ეუბნება დას: აქ ყველაფერი ისმის და იწერებაო, მხოლოდ ლოცვებზეა ლაპარაკი?**

— არა! იქ ყველაფერი ისმის და იწერება, ჩვენი სურვილის მიუხედავად, კეთილს კეთილი ანგელოზი იწერს, ბოროტს — ბოროტი. მერე ადამიანი როცა იქ მივა, ყველაფერზე აგებს პასუხს, რაც აქ გაუკეთებია. თქვენ წარმოიდგინეთ, ღმერთისთვის ჩვენი აზრებიც კი ცნობილია თურმე!

**— რატომ აჩვენეს გოგონას გარდაცვლილი ძმის გვამი?**

— რათა კიდევ ერთხელ ხაზგასმული ყოფილიყო ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანის პიროვნება არის სული და არა ხორციელი სხეული, რომელშიც დროებით იმყოფება სული.

**— თქვენი რჩევა-დარიგება მკითხველისადმი:**

— მაცხოვრის სიტყვებს მოვიშველიებ: „მოაგროვეთ საუნჯე ცათა შინა“, ვინაიდან ნივთიერი სიმდიდრისათვის ზრუნვამ შესაძლოა დამღუპველი ნაყოფი გამოიღოს. აღიღეთ ჯვარი თქვენი და მიჰყევით უფლის გზას, რამეთუ მხოლოდ ეს გზაა სულის მაცხოვნებელი!

**ნანა დავითაშვილი**

# თვითმკურნალობა და არაპროფესიონალიზმი დამღუპველია

რადგანაც ერის გამრავლების ხელშემშლელი მიზეზები მრავალმხრივია, საჭიროდ მიგვაჩნია გავაანალიზოთ მისი ერთი ასპექტი — სასქესო გზით გადამდები ინფექციების მავნე მოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე და შვილოსნობის უნარზე.

სადღეისოდ ცნობილია ოცზე მეტი მიკროორგანიზმი (ვირუსები, ბაქტერიები, პარაზიტები, სოკოები), რომლებიც იწვევენ სასქესო გზით პარტნიორის დასნებოვნებას.

ბოლო ათი წლის მანძილზე, როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოში, მკვეთრად იმატა: სიფილისით, გონორეით, ქლამიდებით, მიკოპლაზმით, გენიტალური ჰერპესით, ციტო მეგალოვირუსით, ტრიქომონოზით, საფუარი სოკოებით, სტრეპტოსტაფილოკოკებით გამოწვეულმა სასქესო ორგანოების ანთებადმა დაავადებებმა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ზემოთჩამოთვლილი ინფექციებით დასნებოვნება შეიძლება მოხდეს არასქესობრივი გზითაც;

სასქესო გზით გადამდებ ინფექციათა სიხშირის ზრდას ხელი შეუწყო საქართველოში ბოლო წლებში მომხდარმა მნიშვნელოვანმა სოციალურმა ძვრებმა, ნარკომანიამ, სექსუალური ქცევის წესებში პათოლოგიურმა ცვლილებებმა და ა. შ.

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების მსხვერპლნი უფრო ხშირად ხდებიან სქესობრივი ცხოვრების პერიოდში სექსუალურად აქტიური ასაკის (15-დან 40 წლამდე) პირები.

გინეკოლოგიურ დაავადებათა შორის სასქესო ორგანოების ანთებებს თითქმის პირველი ადგილი უჭირავს.

ამ დაავადებების გამომწვევ მრავალ ფაქტორთა შორის პირველ ადგილზეა სასქესო გზით გადამდები ინფექციები.

როგორც ცნობილია, უშვილობისას ორმოც პროცენტამდე მამაკაცებია დამნაშავე. მამაკაცების უშვილობის მრავალ მიზეზს შორის პირველ ადგილზეა სასქესო გზით გადამდები ინფექციები და მათი ხელშემწყობი მავნე ჩვევები: ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ნიკოტინის გადაჭარბებული მიღება, ჰომოსექსუალიზმი და ა. შ.

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებით დასნებოვნების შესაძლებელი სიმპტომებია: უჩვეულო ან ჭარბი გამონადენი საშოდან, ასევე მამაკაცის სასქესო ორგანოდან, ნახეთქები ან წვრილი გამონაყარი სასქესო ორგანოზე ან უკანა ტანში, ქავილი, ზოგჯერ ხშირი შარდვა წვის შეგრძნებით, ტკივილები სქესობრივი აქტის დროს.

ინფორმაცია სასქესო გზით გადამდები ინფექციების სიხშირეზე კლასიკური ვენერიული დაავადებების გარდა არაზუსტია, რადგანაც ქლამიდიოზით, მიკოპლაზმით, ციტომეგალოვირუსით, საფუარი სოკოებით, გენიტალური ჰერპესით, ტრიქომონოზით გამოწვეული ანთებადი დაავადებები თითქმის რეგისტრაციის გარეშე რჩება, ეს იმიტომ, რომ პაციენტები ხვდებიან სხვადასხვა სპეციალობის ექიმებთან — არაპროფესიონალებთან, ექიმბაშებთან, რომელთაც არ აქვთ აღნიშნული დაავადების დიაგნოსტიკის და მკურნალობის გამოცდილება.

არამიზნობრივად ჩატარებული თერაპიის, თვითმკურნალობის შედეგია გარეთა და შიგნითა სასქესო ორგანოების სხვადასხვა ხარისხის შორსწასული ანთებადი პროცესები (საშვილოსნოს მილების გაუვალობა, მენსტრუალური ფუნქციის დარღვევა, თვითნებური აბორტები, მკვდრადშობადობა, ნაყოფის სიმახინჯეები და ა. შ.), მამაკაცებში კი წინამდებარე ჯირკვლის ანთება და სპერმატოგენეზის დარღვევა.

ქალთა და მამაკაცთა უმრავლესობა დროულად ვერ აღიქვამს თავიანთი მდგომარეობის სიმძიმეს.

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია, და, რა თქმა უნდა, საქართველოს მედიკოსები, ყველაფერს აკეთებენ სასქესო გზით გადამდებ დაავადებათა შესამცირებლად, მათი დროული დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გასატარებლად.

საქართველოში მოქმედი სამედიცინო რეფორმა მიზნად ისახავს სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებთან ბრძოლას, რაც გამოიხატება უფასო მკურნალობით. აღსანიშნავია, რომ ანონიმურობის გარანტიის მიუხედავად, პაციენტები გამჟღავნების შიშით გვერდს უვლიან სპეციალიზებულ ვენერიულ დაწესებულებებს და სხვადასხვა გინეკოლოგიურ დაწესებულებებში მკურნალობენ.

თვითმკურნალობის ან არამიზნობრივი თერაპიის ჩატარების შედეგად მიღებული გართულებით პაციენტი ისევ ახალ მკურნალს ეძებს და ბოლოს, როდესაც პროფესიონალთან ხვდება, მისი შვილოსნობის შესაძლებლობა სათუოა.

ავადმყოფს, რომელსაც დაუდგინდება სასქესო გზით ინფიცირება, სრულ განკურნებამდე ეკრძალება სქესობრივი ცხოვრება. აუცილებელია მისი მუდმივი ან შემთხვევითი სქესობრივი პარტნიორის მკურნალობაც.

სასქესო გზით გადამდები ინფექციების თავიდან ასაცილებლად, ყველაზე საიმედო მეთოდი, რა თქმა უნდა, შემთხვევითი სქესობრივი კავშირისაგან თავშეკავებაა, მაგრამ ეს თუ მაინც მოხდა, კონტაქტი დასაშვებია კონდომის (პრეზერვატივის) სწორი ხმარებით ან საშოში ქიმიური საშუალებების გამოყენებით.

ინფექციის გადაცემის გზების აღკვეთა, მისი ნაადრევი გამოვლინება, სქესობრივ პარტნიორთან ერთად სწორად ჩატარებული მკურნალობა, შეამცირებს სასქესო გზით დაავადებულთა რიცხვს.

სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობით, პროფესიონალი სპეციალისტების გამოყენებით, პრესის და ტელევიზიის საშუალებით ფართოდ უნდა გაშუქდეს კონდომის (პრეზერვატივის) და სხვადასხვა ქიმიური საშუალებების გამოყენების მნიშვნელობა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისაგან თავის დასაცავად.

ყველა ამ საკითხის გაანალიზება ხელს შეუწყობს პრობლემის წარმატებით გადაჭრას.

**ჟუნა ბაღათურია,**
**ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის რეპროდუქციული პათოლოგიის მეცნიერი თანამშრომელი.**

და თან ჩვენი მეზობლის სახელს გაჰკიოდა. როგორ აღარ ვცადეთ, ბავშვი დაგვემშვიდებინა, მაგრამ არაფერმა გაჭრა, კივილს უმატებდა და ხელებს მეზობლის სახლისკენ იშვერდა. ავიყვანეთ ბიჭი და ჩავიყვანეთ მეზობელთან. ის ქალი ხის ქვეშ დაგვიხვდა. გაგვიკვირდა, შუაღამისას ზეზე რომ იყო, ის კიდევ ჩვენმა გამოჩენამ გააოცა. ბავშვი მიაფრინდა და ჩვენსკენ აღარც გამოუხედავს, იმ ღამეს მასთან დარჩა. მეორე დღეს მეზობელმა მითხრა: ბავშვს საკინძეზე ხელი არ გაუშვია, ისე ეძინაო, თანაც საიდუმლოდ გამიმხილა: თქვენ წუხელ ვერ შენიშნეთ, რომ უკვე თოკი მქონდა ხეზე ჩამობმული, თავის ჩამოხრჩობა მინდოდაო.

## მიტროპოლიტ კონსტანტინეს კომენტარი ამ უჩვეულო ამბავზე

**— მეუფეო, რას გვეტყვით ამ გამოცხადების შესახებ?**

— გამოცხადება ალეგორიულად მიგვანიშნებს იმ ჭეშმარიტებაზე, რაც შეიძლება ხდებოდეს აქედან წასული სულების მიმართ. ეს გამოცხადება ჭეშმარიტია ალეგორიულობით და არა იმით, რომ ნამდვილად არსებობს თეთრი და შავი კიბე, სულს კიბე არ სჭირდება, არც რაიმე ბარიერი არსებობს მის წინაშე. თეთრი კარიბჭე სიმბოლური სახეა, სული ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეჰყავთ იმ სანახებში, სადაც უნდა აჩვენონ ზეციური საიდუმლო.

**— ამ გამოცხადებამ გამახსენა ღირსი თეოდორას გამოცხადება. ჩემი აზრით, თეთრი წიგნი, საიდანაც ხმები ისმოდა, ანალოგიურია იმ თეთრი ყუთისა, რომელიც საზვერეების გავლისას იცავდა თეოდორას სულს.**

— ჭეშმარიტად ამგვარი ამბავია: სხვადასხვა ნივთიერი სახით მოცემული ეს სახესხვაობანი წმინდანის ლოცვით გადმოცემული საიდუმლო მადლია, რომელიც ხელს უწყობს სულის ზეაღსვლას.

**— კი, მაგრამ ამ გარდაცვლილის ოჯახის წევრები წმინდანები რომ არ ყოფილან?**

— ეს არის იმ წმინდა მამა ვასილის საიდუმლო ლოცვის მადლი, რომელთანაც ჭაბუკის სული იმყოფებოდა.

**— ჭაბუკი რომ გარდაიცვალა, მამა ვასილი ზეციდან ლოცულობდა?**

— დიახ, აქაც საიდუმლოდ ხდება... წმინდანებმა იციან, ვინ უნდა მივიდეს მათთან და ისინი უკვე ლოცულობენ მისთვის.

**— ჭაბუკმა რომ თქვა: თქვენი და დედის ლოცვა შემეწიაო?**

— ეს კიდევ იმას ნიშნავს, რომ მშობლები და ახლობლები წმინდა გულით ლოცულობდნენ, ამას დაერთო იმ წირვის მადლი, რომელიც ქაშუეთის ეკლესიაში შეუკვეთეს. დედის ლოცვას დიდი ძალა აქვს, მაგრამ გააჩნია, როგორი ჭეშმარიტი მლოცველია ის დედა და რა მადლი აქვს ღმერთის წინაშე. კონკრეტულ შემთხვევაში, იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ გარდაცვლილი ძალიან ახალგაზრდა იყო და სული დამძიმებული არ ჰქონდა მომაკვდინებელი ცოდვებით.

**— დღევანდელ გაჭირვებულ ცხოვრებაში ბევრს არ ძალუძს შეკვეთილი წირვა გადაახდევინოს, ან დიდი მოწყალება გაიღოს მიცვალებულთა სახელზე...**

— ამ შემთხვევაში უნდა აღასრულონ პანაშვიდი, რომელიც აგრეთვე ძალიან ეხმარება მიცვალებულის სულს. საერთოდ, მატერიალური კეთილდღეობა არავითარ კავშირში არ არის ცხონებასთან. აბა გაიხსენეთ, მდიდრის 100 დრაჰკანი და ღარიბი ქვრივის 2 მწულილი, — რა უთხრა ქრისტემ მოწაფეებს? — ამ კაცმა უმცირესი შესწირა თავისი მონაგებიდან, ღარიბმა დედაკაცმა კი უმეტესიო, გახსოვთ, რა თქვა მაცხოვარმა მდიდრის ცხონებაზე: აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი დაიმკვიდრებს სასუფეველსო!

**— ამ მაგალითების მოხმობით, შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ღარიბი ყოველთვის ცხონდება, მდიდარი კი...**

— არა, ეს ასე არ არის, — ზოგი კაცი უქონელია, არაფერი გააჩნია, მაგრამ ისეთი ხარბი და ბოროტი გული აქვს, შესაძლებლობა თუ მიეცემა, მთელი ქვეყნის სიმდიდრეს მიისაკუთრებს, ასეთი კაცი აბა როგორ ცხონდება?! სულის ცხონებისათვის არც სიმდიდრეს, არც სიღარიბეს, არც არანაირ რეგალიებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ის, ვინც ჯეროვან ქველმოქმედებას არ ეწევა, ვინც ღვთის მცნებების უგულებელმყოფელია, როგორი ბრძენი და სახელგანთქმულიც უნდა იყოს, რა დამსახურებებიც უნდა ჰქონდეს ხალხის წინაშე, სასუფევლის ღირსი მაინც ვერასოდეს გახდება. დაიმახსოვრეთ: ვერც სიმდიდრე, ვერც სიღარიბე, ვერც სიბრძნე და ამქვეყნიური სახელდიდება ვერასოდეს ვერ აცხოვნებს სულს. კაცი მხოლოდ და მხოლოდ გულით ცხონდება და გულითვე წარწყმდება!

**— როგორ გავიწმინდოთ გული?**

— უპირველესად ცოდვები უნდა მოვინანიოთ. საჭიროა სჯულის აღსრულება: წირვა-ლოცვაზე დასწრება, ღვთისა და მოყვასის სიყვარული, მარხვა, ლოცვა, ჯეროვანი ქველმოქმედება. აქვე აღვნიშნავ, რომ ქველმოქმედი უნდა იყოს თავმდაბალი, ქრისტესმიერი სიყვარულით სავსე. ქველმოქმედებას მაშინ აქვს ძალა და მადლი, თუ ის კეთდება ღვთის გულისათვის, რწმენისათვის და არა თავის გამოსაჩენად, სახელისათვის, ქვენა გრძნობების დასაკმაყოფილებლად. სათვალფერისოდ გაკეთებული სიკეთე არასოდეს სიკეთედ არ ჩაითვლება, პირიქით, უფრო დაამძიმებს ადამიანს. ვისაც სუფთა გული არა აქვს, ის უანგარო ვერასოდეს იქნება.

**— გარდაცვლილის სული რომ ეუბნება დას: აქ ყველაფერი ისმის და იწერებაო, მხოლოდ ლოცვებზეა ლაპარაკი?**

— არა! იქ ყველაფერი ისმის და იწერება, ჩვენი სურვილის მიუხედავად, კეთილს კეთილი ანგელოზი იწერს, ბოროტს — ბოროტი. მერე ადამიანი როცა იქ მივა, ყველაფერზე აგებს პასუხს, რაც აქ გაუკეთებია. თქვენ წარმოიდგინეთ, ღმერთისთვის ჩვენი აზრებიც კი ცნობილია თურმე!

**— რატომ აჩვენეს გოგონას გარდაცვლილი ძმის გვამი?**

— რათა კიდევ ერთხელ ხაზგასმული ყოფილიყო ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანის პიროვნება არის სული და არა ხორციელი სხეული, რომელშიც დროებით იმყოფება სული.

**— თქვენი რჩევა-დარიგება მკითხველისადმი:**

— მაცხოვრის სიტყვებს მოვიშველიებ: „მოაგროვეთ საუნჯე ცათა შინა“, ვინაიდან ნივთიერი სიმდიდრისათვის ზრუნვამ შესაძლოა დამღუპველი ნაყოფი გამოიღოს. აღიღეთ ჯვარი თქვენი და მიჰყევით უფლის გზას, რამეთუ მხოლოდ ეს გზაა სულის მაცხოვნებელი!

**ნანა დავითაშვილი**

# დიდ საქმეს ანგარება არ უხდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჭირვებაში ჩავარდნილთათვის ხელის გაწვდენა და ქველმოქმედება ჩვეულებრივი მოვლენა გახლავთ რესპუბლიკის ქალთა საბჭოსთვის, ამ რამდენიმე ხნის წინაც, უკვე მერამდენედ, ჰუმანიტარული ტვირთით ეახლნენ ისინი მცხეთის დედათა მონასტერსა და ძეგვის ბავშვთა სახლს. კვების პროდუქტები, მედიკამენტები, ტანსაცმელი, მხატვრული ლიტერატურა — აი მცირე ჩამონათვალი იმ ძღვენისა, ქალთა საბჭოსთან ერთად კეთილი გულით რომ შესთავაზეს მათ „ქართული ბიზნესის აღორძინების საერთაშორისო ორგანიზაციამ“ და „მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდმა“. შეხვედრებმა მეტად საინტერესოდ და ამაღელვებლად ჩაიარა, მაგრამ ჩვენ მაინც გვსურს, განსაკუთრებული ყურადღება ძეგვის ბავშვთა სახლზე გავამახვილოთ, რადგან ვთვლით, რომ ქუჩიდან მობრუნებული ბავშვების ბედი სულერთი არ უნდა იყოს ქვეყნისათვის.

ძეგვის ბავშვთა სახლი ყოფილი ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერის ტერიტორიაზე მდებარეობს. გარეგნულად შენობამ და ეზო-გარემომ შესაძლოა უბადრუკი შთაბეჭდილება დატოვოს, მაგრამ ამ პატარა სამყაროში დიდი იმედი ბუდობს და კეთილშობილური საქმე კეთდება. ამის არდანახვა ნამდვილად არ შეიძლება. სწორედ ამიტომ ვთხოვეთ ბავშვთა სახლის აღმზრდელს — დედა ემილიას ჩვენთვის გაეზიარებინა მათი ყოველდღიური ტკივილი და სიხარული.





— ძეგვის ბავშვთა სახლში 1-დან 18 წლამდე ასაკის ასამდე ბავშვია თავმოყრილი. ამჟამად სახლი გადატვირთულია და ბავშვების მიღება შევზღუდეთ, რადგან მეტს ელემენტარულად ველარ გავწვდებით. თვით სახლის დაარსება შემთხვევამ და ბავშვების მოზიდვამ განაპირობა.

ამ ორიოდე წლის წინ უწმინდესმა და უნეტარესმა პატრიარქმა ფერისცვალების დედათა მონასტრის იღუმენია მარიამი დაიბარა და სთხოვა მეთვალყურეობის გაწევა ქუჩაში გასულ მოხეტიალე ბავშვებზე. დავალება მეტად სერიოზული იყო, მაგრამ თავად ყურადღება რა სახის უნდა ყოფილიყო, არ ვიცოდით. ღვთის მადლით, აქ შემთხვევა დაგვეხმარა — ქუჩაში წავაწყდით მძინარე ბიჭუნას, შეგვეცოდა და მონასტერში წამოვიყვანეთ. დავბანეთ, მოვუარეთ. ცოტა ხნის შემდეგ, მან თავისი ძმაც მოიყვანა. დარჩნენ ბავშვები ჩვენთან, ქუჩაში აღარ გადიოდნენ, ჩვენც ვპატრონობდით. გაიგეს ამის შესახებ და სულ ცოტა ხანში სიონის მათხოვრებმა პატარა ავადმყოფი გოგონა მოგვიყვანეს მძიმე დამწვრობით. ერთ დღეს, როცა გოგონასთან ერთად სეფსისის ცენტრიდან მონასტერში ვბრუნდებოდით, რაღაც სასწაულის წყალობით, ბავშვს დიდი ხნის უნახავი ძმა და მისი მეგობარი შემოხვდა. ისინიც ჩვენთან წამოვიდნენ. შემდეგ ამ მეგობარმა თავისი ნაცნობი ქუჩაში გასული ბავშვების ჯგუფი შემოგვიერთა და უცებ აღმოვჩნდით ფაქტის წინაშე — ფერისცვალების დედათა მონასტერში ქუჩის პაწაწინა „ქურდების“ 13-კაციანი არმია დასახლდა. მათი ისევ ქუჩაში გაშვება აბა როგორ შეიძლებოდა, მაგრამ მარტო მოვლაც გაგვიჭირდა, არ იყო საკმაო პერსონალი, მატერიალურად თავადაც მოწყალების ხარჯზე ვიმყოფებოდით. სწორედ აქ ამომიდგა მხარში ჩემი მეგობარი მათემატიკოსი გია რაზმაძე (იგი ამჟამად ძეგვის ბავშვთა სახლის დირექტორია) და თანამოაზრეც მოიყვანა — პედაგოგობის დიდი უნარით დაჯილდოებული პიროვნება, ფოლკლორისტი ზურაბ კიკნაძე. ერთად ცხოვრების პირველი პერიოდი მონასტერში გავატარეთ, მაგრამ შემდგომ, როცა ბავშვებმა და-ძმები და მეგობრებიც შემოიკრიბეს, მონასტერში ცხოვრება გაჭირდა. მეგობრების დახმარებით ბავშვები საპატრიარქო მიწაზე, კრწანისის ტყე-პარკში გავიყვანეთ, გავშალეთ კარვები და ოქტომბრამდე იქ დავრჩით.

ჩვენი გაჭირვების შესახებ შეიტყო ქალბატონმა ნანული შევარდნაძემ, რომელმაც სთხოვა ბატონ თენგიზ გაზდელიანს და ეს ტერიტორია დაგვითმეს. მაშინ აქ შემოსვლა არ შეიძლებოდა, ჯერ ახლაც ხედავთ, რა მდგომარეობაა და იმ დროს ხომ მთლად საშინელება იყო. მაგრამ ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვქონდა, ბავშვებს ისევ ქუჩაში





ხომ არ გავუშვებდით, უპატრონოდ ვერ დავყრიდით. აქ კონტინგენტი მეტად რთულია, ოდნავი ხმის აწევა და მბრძანებლის ტონი საკმარისია, რომ კატასტროფა მოხდეს, ბავშვები ზღვარის დარღვევას არ გვაპატიებენ, თხოვნით და პატივისცემით კი ყველაფერს მივაღწევთ. რას ვიზამთ, ქუჩა დაუნდობელია, ეს ბავშვები კი ქუჩამ აღზარდა და ზოგ საკითხში დააბრძენა კიდეც. რაც მთავარია, მათ მეგობრობაც კარგი იციან და გატანაც, უშიშრებიც არიან და სიკეთესაც აფასებენ. ქურდობის ფაქტი თითქმის არ ყოფილა, წასვლაც ყოველთვის შეუძლიათ, მაგრამ მაინცდამაინც ბევრი მსურველი არ ჩანს. რომ წავიდნენ, ისევ ძველ ყოფას უნდა დაუბრუნდნენ, იმათხოვრონ ან იქურდონ. აქ კი მეტ-ნაკლებად ნორმალური პირობები აქვთ, საკვებსაც ერთად ვინაწილებთ და შრომასაც, ჭირსაც და ლხინსაც. რაც მთავარია, ბავშვები შრომით არიან დასაქმებულნი და ღირსების გრძნობაც გაუჩნდათ, იციან, რომ საჭირონი არიან. მათ დასასაქმებლად ახლო მომავალში გვინდა სახელოსნოები და სამჭედლო გავხსნათ, გვაქვს ფურნე, წისქვილიც შევიძინეთ — პურს თვითონ გამოაცხობენ, საბოსტნე ნაკვეთებიც დავამუშავეთ, ქათმებსაც მოვაშენებთ და დიდი ოჯახის ცხოვრებით ვიცხოვრებთ. სკოლის პრობლემაც თითქმის გადავჭერით, საკლასო ოთახები გვაქვს და სწავლის მსურველი თავს დაჩაგრულად ნამდვილად არ იგრძნობს. ერთ სასიკეთო საქმესაც მოვაბით თავი — გვაქვს გადამწერის (კალიგრაფიის) ოთახი, სადაც ბავშვები ძველი ქართული ტექსტების გადაწერაზე მუშაობენ. ვთვლით, რომ ეს დიდი საქმეა — ძველი ქართულის ფონზე, ახალსაც კარგად ვისწავლით, აქ მოსვლამდე ხომ მათმა დიდმა ნაწილმა წერა-კითხვა საერთოდ არ იცოდა. დიდ თანადგომას გვიწევენ ჩვენი მეგობრები — ზურაბ კიკნაძე, დათო ტურაშვილი, თამუნა თითმერია, რომლებიც მათთვის საინტერესო საგნებში ამეცადინებენ ბავშვებს. სხვათა შორის, ჩვენმა აღსაზრდელებმა ხელსაქმეც კარგად შეისწავლეს და ბიჭები გოგონებზე ნაკლებ როდი ქარგავენ.

რა თქმა უნდა, არ მინდა ისე გამიგოთ, თითქოს აქ სრული იდილია და ჰარმონია სუფევდეს, არა. პირიქით, ზამთრისათვის შეშას ტყიდან ვეზიდებით, თავად სულ შემოწირულობების იმედზე ვართ და კვებაც ერთფეროვანია, ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს, ელემენტარულად კანალიზაციაც კი არ გაგვაჩნია, წყალიც მოშორებითაა, მაგრამ ქვეყნის გაჭირვების ფონზე ხმას როგორ ამოვიღებთ. უბრალოდ, ძალზე ბევრი მეგობარი გვყავს და მათი შემწეობით ვცდილობთ, ცუდზე არ ვიფიქროთ, ისინი გვმატებენ მხნეობას. მათ შორის განსაკუთრებით მცხეთის რაიონის პროკურორი ბ-ნი გიორგი გიორგობიანი და მისი მეუღლე ქ-ნი ნელი მსურს დავასახელო, ჩვენი ბავშვები წირვა-ლოცვაზე მათ მიერ აგებულ ეკლესიაში დადიან. ყურადღებას არ გვაკლებს მცხეთის რაიონის პოლიცია, რომელიც ღამეში ორჯერ გვამოწმებს, დაუპატიჟებელმა სტუმრებმა რომ არ შეგვაწუხონ, რადგან რამდენჯერმე იყო ამის მცდელობა და სხვათა შორის, ერთი სტუმრობის დროს ავკაცებმა ქ-ნ ირინე გედევანიშვილის მიერ ნაჩუქარი გოჭებიც კი გააყოლეს ხელს.

აი, მოკლედ რომ გითხრათ, ასეთი დაძაბული ცხოვრებით ვცხოვრობთ. რაც მთავარია, ბევრ ბავშვს მშობელმა ჩამოაკითხა და აქ დარჩა, ასე ვთქვათ ოჯახური გარემო თავისთავად შეიქმნა და უფროსებმა მომვლელის ფუნქცია ჩვენთან ერთად გაინაწილეს. რაც შეეხება მომსახურე პერსონალს, ნამდვილი ენთუზიასტები არიან, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობენ და ეს არცაა გასაკვირი, ასეთ დიდ საქმეს ანგარება არ უხდება.

**მანანა იმესაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვულოცავთ!

# ჩვენი ლილი ნუცუბიძე

„თქვენ რომ არ მყვარებოდით, რა გაძლებდა აქამდე"...

ეს „აქამდე" 70 წლის სიმაღლიდან გადასახედი გამხდარა ცნობილ პოეტ ლილი ნუცუბიძისათვის. მის შემოქმედებაზე რა უნდა ითქვას იმაზე მეტად მშვენიერი და გულში ჩამწვდომი, რასაც თავად ეს წრფელი, თავანკარა ლექსები გვეუბნებიან და თავს გვამახსოვრებენ გამორჩეული პოეტური ხელწერით და ჟღერადობით.

ლიტერატურულ ასპარეზზე 1945 წლიდან გამოჩნდა პოეტი ქალი და მას შემდეგ 3 ათეულ წელზე მეტია, ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა არ შეუწყვეტია. ქართველი მკითხველის გულში თავისი ადგილი დაიმკვიდრა ლილი ნუცუბიძის პოეტურმა კრებულებმა: „მამულო ჩემო", „ვალი გადაუხდელი", „გიყვარვარ თუ არ გიყვარვარ", „ყველა ვარსკვლავი ციმციმებს შენთვის", „ლაჟვარდი" და სხვ. უკანასკნელ წლებში გამოიცა „სიყვარული და ცრემლები", „სიმღერა ქუთაისზე", „ქუთაისისთვის რაც მიმღერია", პეტრე ჭაბუკიანისადმი მიძღვნილი მხატვრული ნარკვევი „სათაფლიაზე ორი კვალია". სულ ორმოცამდე პოეტური კრებულის ავტორია ქალბატონი ლილი.

ქუთათურებს არასდროს დაავიწყდებათ ლილი ნუცუბიძის ნარკვევი „ინტერვიუ შვიდი ათას შინმოუსვლელ ქუთაისელთან", რომელმაც გაიმარჯვა მე-2 მსოფლიო ომის დამთავრების 40 წლისთავთან დაკავშირებით გამოცხადებულ საქალაქო ლიტერატურულ კონკურსში და პირველი პრემია მიენიჭა. ეს ნარკვევი სპექტაკლ-რექვიემად დაიდგა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი მუშაობა საბავშვო ლიტერატურის დარგში. პატარებისათვის შეულეველი საგანძურია ლექსთა კრებულები, ქუთაისის თოჯინების თეატრში დადგმული შვიდი პიესა.

ლილი ნუცუბიძე წლების მანძილზე გახლდათ ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, არჩეულია მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ბიუროს წევრად, ქალთა საქალაქო საბჭოს გამგეობის წევრად, საზოგადოება „ქუთაისელის" პრეზიდიუმის წევრად.

წლების წინათ, როცა უკვე დედობის უზენაეს ვალს იხდიდა და ორ ბოკვერს ზრდიდა, მას შეხვედრა მოუწყვეს ქალაქის პირველ სკოლა-ინტერნატში. პოეტის ყურადღება ერთმა ცელქმა ბიჭუნამ მიიქცია, რომელიც დირექტორის კაბინეტში დასატუქსად შემოეყვანათ და არ აპირებდა გაეცა „დანაშაულში" ეჭვმიტანილი თანატოლი. დედობრივი გრძნობის კარნახს აყოლილმა გულმა ქალბატონ ლილის გადააწყვეტინა უდედმამო პატარა, რომელსაც ასე აკლდა მშობლის სითბო და ალერსი, ერთი ღამით შინ, თავის შვილებთან წამოეყვანა. ოჯახში სიხარულით შეხვდნენ ამ მოულოდნელ სტუმარს, ის კი არა და, მთელი ქუჩის ბავშვები მოაწყდნენ იმ დღეს კვარაცხელიების სახლს. მეორე საღამოს, როცა პატარა ვიტალი კრივანოსოვის ინტერნატში დაბრუნების დრო დადგა, საჩუქრებითა და სათამაშოებით ხელდამშვენებულ ბიჭუნას გული ამოუჯდა და ტირილით განაცხადა უარი უკან დაბრუნებაზე. აქეთ ავთანდილი და ნუკრი იცრემლებოდნენ... მერე, ვიდრე ფორმალური საკითხები მოგვარდებოდა, ამ ამბის გამო ჩვეულებრივი რიტმიდან ამოვარდნილი ოჯახის წევრები თითქმის ყოველდღე აკითხავდნენ ვიტალის ინტერ-

## ლილი ნუცუბიძე

### თუ მაინც უნდა ვინანო

ციური ცვარით ვინამე,
თვალზეც ცრემლები მდიანო,
მოვალ და ვიცი ვინანებ,
არ მოვალ, —
მაინც ვინანებ,
თუ მაინც უნდა ვინანო,
მოვალ და ბარემ
ვინანო!

### თუ გიყვარდე

თუ გიყვარდე,
თუ გიყვარდე,
ვარდები არ გადათელო,
გაზაფხულზე
ხილამაზე
დააკლდება საქართველოს!

### თოლიები რიონზე

შენი რჯული და მირონი
აქ როგორ გაჩნდა,
თოლია,
ჩემი პატარა რიონი
შავი ზღვა ხომ არ
გგონია?

### არ გახსოვს...

შენ თუ მეძებდი,
— არ გახსოვს,
მე რომ გეძებდი,
ვიცი;
შენ თუ ტიროდი,
— არ გახსოვს,
მე რომ ვტიროდი,
ვიცი!
გენატრებოდი?
— არ გახსოვს,
მენატრებოდი,
ვიცი!
მართლა გიყვარდი?
— არ გახსოვს,
მე რომ მიყვარხარ,
ვიცი!

ნატში, შაბათ-კვირას კი აქეთ მოჰყავდათ... ძალიან მალე, ერთ მშვენიერ დღეს კი უკან აღარ გაუშვიათ. ასე იქცა ობოლი ბიჭუნა ქალბატონ ლილი ნუცუბიძისა და ბატონ გრიშა კვარაცხელიას მესამე შვილად.

ქალზე რომ იტყვიან, ვაჟკაცურიაო, ეს მაინცდამაინც ვერაფერიშვილი ნათქვამია, მაგრამ ქალბატონი ლილის პიროვნებას მართლაც რომ ამშვენებს კაცთა სადარი გამორჩეული ღირსებები და თვისებები, ამას გვერდს ვერ ავუვლით. და ეს ყველაფერი რომ ასე ლამაზად ერწყმის მის ქალურობას, სწორედ ეს ქმნის მისეულ განუმეორებელ კოლორიტს, რომელიც მუდამ განსაკუთრებულ ხიბლად აჩნდება ყველა შეხვედრასა და თავყრილობას, ლხინისა და ჭირის სუფრასაც კი, სადაც ლილი ნუცუბიძეა. გაჭირვებულთა შემწეს, ოთარაანთ ქვრივივით სიმართლის მძებნელს, დაჩაგრულთა მოსარჩლესა და ქომაგს, ვინ იცის, რამდენი მადლიერი ადამიანი ლოცავს უანგარო თანადგომისთვის.

უტკივილოდ არც თავად უცხოვრია, ან კი ვის შერგებია ისე ეს წუთისოფელი, მით უფრო, თუ უზენაესმა პოეტის უფაქიზესი სული გიბოძა გაუნელებელი წვისა და ტანჯვისათვის, ცხოვრების რეალობა კი გაიძულებს რაღაც პირდაპირ გაჭრა, რაღაცას პირდაპირ დაეჯახო, ვარდისთვის ეკალსაც გაუძლო... მაგრამ მან ყველა ეკალს და ყველა განსაცდელს დიდი სიყვარული შეაგება და ამიტომ გაიმარჯვა. ზეაწეული ბედნიერების ლურჯი ფრინველი თუნდაც იმდენჯერ მოიხელთა, რამდენჯერაც მისი ლექსები ასე მშვენიერ, დამატკბობელ სიმღერებად აქციეს ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორებმა: რუსუდან სებისკვერაძემ, ნუნუ გაბუნიამ, შოთა მილორავამ, მიხეილ ჩირინაშვილმა, ნანული ბერაძემ და სხვებმა. ახლა ამ სიმღერებს მთელი საქართველო მღერის...

ქუჩაში მიმავალს საყოველთაო სიყვარული და თაყვანისცემა ეგებება წინ და ეს მარტო ქუთაისის ქუჩებში არ ხდება... საქართველოში მხოლოდ ერთი ლილი ნუცუბიძეა! მაგრამ იგი განსაკუთრებით ეძვირფასება ქუთაისს და თავადაც გამორჩეული გრძნობითაა დაკავშირებული ადგილის დედასთან. „მე ქუთაისში ვცხოვრობ და ეს არის ჩემი ედემი“. დიახ, აქ იგრძნო პოეტმა პირველად სამშობლო, მისი ტკივილიც და სიხარულიც, ამ ქალაქში შეიქმნა მისი ბოლოდროინდელი ლექსების კრებული „სიყვარული და ცრემლები“, რომელიც შეიძლება მის პოეტურად დაწერილ ავტობიოგრაფიადაც აღვიქვათ. ეს სიყვარულითა და ცრემლით შეზავებული ლექსები გვარწმუნებენ, თუ რარიგ ძალუძს მათ შემქმნელს ერისა და ქვეყნის გულმხურვალე ჭირისუფლობა. იმან, რაც ჩვენმა ქვეყანამ უკანასკნელ წლებში გადაიტანა, პირდაპირი მახვით გაიარა პოეტის გულზეც: „ო, რამდენი ვილოცე, მაინც სისხლში ვიხრჩები, ვინ წამართვა სიცოცხლე იმ ლამაზი ბიჭების“, — ამას „ცრემლით ამოშენებულ თეთრი ხიდის ჯებირთან“ მდგარი პოეტი ამბობს და უსაზღვროა მისი სინანულიც: „ყოფნა, არყოფნა, ბეწვზე ჰკიდია, თვალში ნაცარი, გულში ალმური, მე ამ ქვეყნიდან ისე მივდივარ, ვერ მოვუხომე შვილებს მამული“...

მაგრამ იმედი მძლავრობს. ამ იმედით მიუყვება იგი ყოველდღე ერთი ხელისგაწვდენა გზას შინიდან მწერალთა სახლისაკენ, სადაც ხეთა ჩრდილებით დამშვენებულ კოპწია ეზოში მუდამ ელოდებიან ახალგაზრდები, რომელთათვისაც უშურველად გასცემს დედაშვილურ სითბოსა და სიყვარულს, დარიგებას, გამოცდილებას, მოსაწონს მოუწონებს და ნაკლზე ისე იტყვის, გული არავის ეტკინოს... ამ გზაზე მუდამდღე თეთრი ხიდი უნდა გადაიაროს. უყვარს ქალბატონ ლილის მოაჯირზე დაყრდნობა, რიონის ზვირთთა ცქერა და მიყურადება. ხან ჩურჩულით და ხანაც ხმამაღლა ესაუბრება ტალღების ჩქერალს, ხშირად სწორედ აქ იბადება ახალი ლექსიც. სხვა ნატვრათა შორის მას ერთი ნატვრა აქვს: „ქუთაისის ქუჩებში, ნეტა დიდხანს მამღერა“... ამაზე მისი თაყვანისმცემლებიც ლოცულობენ.

მისმა საყვარელმა ქუთაისმა სექტემბერში პოეტის 70 წლის იუბილე აღნიშნა.

თუ პოეტი ლილი ნუცუბიძე ყველგან სასურველი და ძვირფასი სტუმარია, ამასთან, შეუდარებელი მასპინძელიცაა.

**დიანა ციბაძე**

**ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია უერთდება ქუთათურთა გრძნობებს პოეტი ქალისადმი და მის სიყვარულში ეჯიბრება მთელ საქართველოს.**

## ცხოვრების სიბრძნე

იცი, რას ნიშნავს
სამშობიარო სახლის
მეცხრე სართულის
ღია სარკმლიდან შემოჭრილი ცერა თითივით
მკერდში ჩაკრულ ჩვილს
რომ აჩვენებს დედა
ძირს ქვაფენილზე
კითხვის ნიშანივით
მოხრილ მეუღლეს,
იცი, რას ნიშნავს?

## რანაირად გამოიცე

ცხოვრებაში ათასნაირ
განართობით ვერთობით,
რანაირად გამოცე
შენი ერთადერთობით!

რა წილკოტი ამიშენე,
ყველა გზაზე მენდობი,
სიჭაბუკე დამიმშვენე
შენი ერთადერთობით.

ახლა ისევ მიმაწილე
შენი წვერი და ფერდობიც,
სიბერემდე მიმაცილე
შენი ერთადერთობით.

## ჩემი სამშობლო ქუთაისია

როდესაც მთებში ეშვება ბინდი,
როცა მზეა და როცა ნისლია,
ჩემი რიონი და თეთრი ხიდი
ჩემი ბოლარა ქუთაისია!

სულ სიყვარულის ცეცხლით ანთებს,
ყველა სიმღერა მხოლოდ მისია,
ჩემი ხატი და ჩემი საზატე,
ჩემი სიცოცხლე ქუთაისია!

მიმოქარგული მზით და მაისით,
აქ ყველაფერი ვარდისფერია,
ძველიმერული სიდარბაისლით
სულ გულგაშლილი მასპინძელია.

აკვნებთან ისმის იავნანური,
მაყარში თოფებს ისევ ისვრიან,
ჩემი დედული, ჩემი მამული,
ჩემი სამშობლო ქუთაისია!

# ბავშვები უცხოეთშიც საქართველოს უგალობენ

ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ვარნაში ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა. ფესტივალზე ქართული ვოკალური ანსამბლი „გვირილაც“ მიიწვიეს.

„ეს რა მშვენიერი გოგო-ბიჭები არიან. დახვეწილი და მაღალი პროფესიონალური ანსამბლია. არა და, ჩვენ ვიცოდით, რომ საქართველოს ძალიან უჭირს, იქ ბავშვებისათვის, ხელოვნებისათვის არავის სცალია. ქართულმა ვოკალურმა ანსამბლმა კი ვარნის ფესტივალზე, სულაც დაგვავიწყა, რომ შეიძლება არსებობდეს პოლიტიკური კრიზისები, ეროვნებათშორისი კონფლიქტები, ომები“, — წერდა ბულგარული გაზეთი „სტანდარტი“.

ანსამბლი „გვირილა“ ვარნის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი გახდა.

ანსამბლის სოლისტები ბავშვთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები არიან.

ვოკალური სტუდია „გვირილა“ ჩუღურეთის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლთან ხამი წელია არსებობს (დირექტორი ც. გოგოტიშვილი, ვოკალის კონსულტანტი ქალბატონი ეკატერინე ღლონტი). ამ ხნის მანძილზე სტუდიამ თავი გამოიჩინა. ამაზე მეტყველებს ის კონცერტები, გასტროლები, აღიარება, რომელიც „გვირილამ“ მოიპოვა. სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელია ქალბატონი ერნა წიფურია. ვოკალს ახალგაზრდა ნიჭიერი პედაგოგი ნინო ჩიხლაძე ხელმძღვანელობს.

ბავშვები სწავლობენ სიმღერას, ეუფლებიან პლასტიკას, მეტყველებას, ასრულებენ მსოფლიო მუსიკის ნიმუშებს.

„გვირილას“ წევრების ასაკი სამიდან ათი წელია. ანსამბლმა ერთი თაობა უკვე აღზარდა, წლეულს ახალი შევსება მიიღო.

„გვირილამ“ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის, აგრეთვე გრიბოედოვის, რუსთაველის, მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ, რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრებში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტები გამართა. ამას წინათ ქალთა კოლონიას, სათნოების სახლს — კათარზისს ეწვივნენ.

ვარნის ფესტივალის ლაურეატი, ბავშვთა ვოკალური ანსამბლი „გვირილა“ საერთაშორისო საშობაო ფესტივალზე ლიტვის ქალაქ ვილნიუსში იმყოფებოდა.

ევროპისა და თანამეგობრობის ქვეყნების მუსიკალური საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორი საერთაშორისო ასოციაცია „იუნონტ პლანეტი“ იყო. ანსამბლი „გვირილა“ ამ ასოციაციის აქტიური წევრია.

ფესტივალს 12 ქვეყნის დელეგაცია ესწრებოდა. პროგრამა მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. ბავშვები გაეცნენ სხვადასხვა ქვეყნის კულტურას, ისტორიას. ისინი უგალობენ საქართველოს, თბილისს, ასრულებენ მსოფლიოს ხალხთა სიმღერებს.

ანსამბლის რეპერტუარშია სულხან ცინცაძის, რევაზ ლაღიძის, არჩილ კერესელიძის, ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებები.

ლიტვის განათლების მინისტრმა „გვირილას“ მონაწილეებს დიპლომები გადასცა. ანსამბლი „გვირილა“ ვილნიუსის საერთაშორისო საშობაო ფესტივალის ლაურეატი გახდა.

„გვირილა“ პირველი საბავშვო ვოკალური ანსამბლი იყო საქართველოდან, რომელიც სკანდინავიის ქვეყნების ფესტივალზე დანიაში წლეულს ივნისში მიიწვიეს. ამ ფესტივალის ორგანიზატორები დანიის განათლების სამინისტრო და ფირმა „დი ჯი პი“ იყვნენ. მათ ანსამბლს ლაურეატის წოდება მიანიჭეს და ევროპის სერთიფიკატით დააჯილდოვეს.

ექვსი წლის გელა ესაკიამ არჩილ კერესელიძის „მენახშირის სიმღერა“ ჩინებულად შეასრულა. რვა წლის გიორგი ჩიხლაძეს მოწონება ხვდა წილად, როცა სულხან ცინცაძის „ბაში აჩუკის“ სოლო ოსტატურად წარმოსახა. მათ სპეციალური პრიზები დაიმსახურეს.

ასევე, აღნიშვნის ღირსნი არიან — ხათუნა ხელაია, — რეზო ლაღიძის ვალსის და შორენა ბადრიძე დავით თორაძის „თბილისის ღამის“ შემსრულებლები. ერნა წიფურიას „სიმღერა ბათუმზე“ პირველად თეა გოროზიამ შეასრულა. სოფიკო წიწილაშვილი არტისტიზმით გამოირჩეოდა. „რუსულ კადრილზე“ მას პარტნიორობას გურამ ესაკია უწევდა. მოწონება ხვდათ წილად დიმიტრი ქისიშვილს, თათია ბაკაშვილს, მაიკო ბუჩუკურს იტალიური დუეტების შესრულებისათვის, ხოლო ათი წლის დიმიტრი ქისიშვილს პრესამ „ნამდვილი ჯენტლმენი“ და პროგრამის მშვენება უწოდა.

თეონა ბუჩუკურს, თეა გოროზიას და სოფიკო წიწილაშვილს კონცერტები ინგლისურ ენაზე მიჰყავდათ და მაყურებელს საქართველოსა და თბილისზე უამბობდნენ.



პედაგოგი ნინო ჩიხლაძე



ერნა წიფურიასთან ჩაწერის დროს

ნინო ჩიხლაძემ, როგორც ყველაზე ახალგაზრდა და მდიდარი ფანტაზიის პედაგოგმა, დანიის მუსიკალური ფესტივალის ლაურეატის წოდება მოიპოვა. დანიის ქალაქ ელსინორის ახალგაზრდა პედაგოგების დახელოვნების კოლეჯიდან მან ახლახან მიწვევაც მიიღო.

„გვირილა“ მოსკოვის ნორჩი ტალანტების გალა კონცერტზე კრემლის სასახლეში გამოვიდა, რომელიც მოსკოვის 850 წლისთავს მიეძღვნა. ნორჩმა მსახიობებმა აქაც ნამდვილი ფურორი მოახდინეს.

ეთერ ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია

**განვაგრძობთ ტრადიციულ რუბრიკას. იგი მიჰყავს ჩეხ ექიმს მიროსლავ მატოუშეკს. დღევანდელი შეკითხვები ასეთია:**

**— რძის ფხვნილს უნდა დავასხათ თბილი წყალი თუ პირიქით, წყალში ჩავყაროთ ფხვნილი?**

— თუ ფხვნილს წყალში ჩაყრით, იგი ზედაპირზე მოექცევა და გაგვიჭირდება მისი წყალში გახსნა. ცივ წყალშიც ცხიმიანობის გამო ცუდად იხსნება, ძალზე ცხელ წყალში კი დაკურკუშალდება. ამიტომ სჯობს ფხვნილს დავასხათ ცოტაოდენი თბილი წყალი, კოვზით კარგად ავზილოთ, სანამ ფაფისებურ მასას მივიღებთ და მერე ვამატოთ თბილი წყალი სასურველი სისქის მიღწევამდე.

**— შეიძლება თუ არა რძის ფხვნილით მომზადებული ორცხობილას ფაფის მიცემა?**

— ეს მანანის ბურღულის ფაფის ნაცვლად შეგიძლიათ მისცეთ. მისი მომზადება ადვილია. — დაფხვნილი ორცხობილა ცოტაოდენ თბილ წყალში აურიეთ და 3 წუთის განმავლობაში ადუღეთ. ჯერ ფაფა ძალზე სქელი ჩანს, მაგრამ ადუღების შემდეგ გათხელდება. ზოგ ბავშვს იგი მალე ბეზრდება. მაშინ იგი მანანით შეცვალეთ. ეს ფაფა უფრო საღამოს კვებაზე გამოიყენეთ.

**— ისევ დავიცვა თუ არა 4 საათიანი ინტერვალი კვებათა შორის?**

— საჭმლის მიღების დრო ძირითადად დამოკიდებულია ბავშვის მადაზე. მისი გრაფიკი უნდა შეადგინოთ და შეუსაბამოთ თქვენი და თქვენი ოჯახის დღის რეჟიმს, მხედველობაში უნდა მიიღოთ ის გარემოება, რომ საკვები, რომლითაც დაიწყეთ ჩვილის კვება თანდათან უახლოვდება მოზრდილი ადამიანის საჭმელს და სადილის შემდგომი საკვები შეესაბამება ჩვენს საუზმეს და სამხარს, სადილამდელი ხილი — ჩვენს მეორე საუზმეს, სუპი — სადილს, ფაფა — ვახშამს. უფრო ყუათიანი საჭმლის შემდეგ უფრო ხანგრძლივ ინტერვალს გააკეთებთ და პირუკუ. ასე მაგალითად: ხილის პიურეს შემდეგ ბავშვს მალე შივდება და საჭმელიც უფრო მალე უნდა მისცეთ. ვთქვათ, ორიოდე საათის შემდეგ. მოკლედ, გაითვალისწინეთ ბავშვის მოთხოვნა. დააკვირდით შედეგს და შემდეგ ეცადეთ დაიცვათ ერთხელ მიღებული განრიგი.

**— ისევ თათებიან შარვალს ვაცმევ. სწორად ვიქცევი?**

— დიახ, როცა ასეთი შარვალი აცვია, საბნის დახურვა აღარ სჭირდება. ჩაცმასთან დაკავშირებით უნდა გახსოვდეთ, რომ შარვალი, ტრუსები, სხვა საცვლები წელში არ უნდა უჭერდეს და მოძრაობას არ უშლიდეს. ასევე რბილი რეზინია საჭირო სახელოზე. განსაკუთრებით ყურადღება მიაქციეთ ყელთან, არაფერი უჭერდეს. ხშირად რეცხვისაგან წინდები ვიწროვდება. ბავშვს ფეხის თითები თავისუფლად უნდა ჰქონდეს, თორემ ფეხები დეფორმირდება.

**— რა დავახუროთ თავზე?**

— სახლში — არაფერი. თუ თბილა — არც ქუჩაში. ის კი არა, ზაფხულის თბილი ქარიც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ბავშვი ჩავთბუნოთ. ზოგ დედას გადამეტებული შიში აქვს გამკრავი ქარის მიმართ. ეშინიათ ყურის გაცივების. ამ დროს შუა ყურის ანთების დროსაც ქარი არაფერ შუაშია, რადგან ანთება ყურიდან კი არა, სასუნთქი გზებიდან ვითარდება.

პარკში სეირნობისას ხშირად შეხვდებით დედას, რომელსაც მსუბუქი საზაფხულო კაბა აცვია. ბავშვს კი ძლივს უჩანს თვალები და ცხვირი. ეს სწორი არ არის. თუ ტემპერატურა 12-14 გრადუსზე ნაკლებია, მაშინ დაახურეთ მსუბუქი ქუდი, ხოლო თუ თერმომეტრის სინდიყი ნულზე დაბლა ეცემა, მაშინ აუცილებლად დაახურეთ შალის ქუდი ნიკაპქვეშ შეკრული ან კაპიშონი, მაგრამ არა ორივე ერთად.

**— გადავწყვიტე კარგად გამოვაწრთო, ამიტომაც ვაბანავებ გრილ წყალში.**

— მაშინ თქვენ სანიმუშოდ იქცევით. თუ ბავშვი მიაჩვიეთ 32 გრადუსიან წყალში ბანაობას, შეგიძლიათ ტემპერატურა ჩამოიყვანოთ 30 ან 28 გრადუსამდე, თუ, რა თქმა უნდა, ბავშვი ჯანმრთელია. ამით იგი დაზღვეული გეყოლებათ სურდოსაგან. ასევე კარგი იქნება დასაძინებლად ღია ფანჯარასთან დააწვინოთ.

**— მინდა წავიტრაბახო, რადარა ვასწავლე...**

— შედეგი მართლა მშვენიერია. როცა უახლოვდებით, გახარებულია, იცინის, 5 თვიდან ნაცნობ სახეებს არჩევს, უღიმის მათ. უცნობებს-უბღვერს. ზოგჯერ ტირის კიდეც. წარმოთქვამს ცალკეულ ბგერებს. თუ სახეს მიუახლოებთ და მკვეთრად, რამდენჯერმე წარმოთქვამთ სასურველ ბგერას, ბავშვი სწრაფად აითვისებს მას. სათამაშოს ხელში იღებს, პირშიც მიაქვს, რომ უკეთ გაიგოს „რასთან აქვს საქმე". ფეხსაც ავარჯიშებს. ჯერ ერთ ფეხს იღებს ხელში, მერე — მეორეს. ეს საუკეთესო ვარჯიშია.

ამ ასაკში ბავშვს შეუძლია დამოუკიდებლად გადატრიალდეს მუცელზე ან ზურგზე. როცა მუცელზე წევს, ცოტა მოშორებით დაუდეთ მიმზიდველი სათამაშო, ამით აიძულებთ მიცოცდეს მასთან.

როცა ზურგზე წევს, ხელი გაუწოდეთ. ის თითზე მოგეჭიდება და წამოჯდება. თუ კიდევ უფრო წამოსწევთ, ფეხსაც გაასწორებს და თანდათან წამოდგება. მიეცით ფეხზე დგომის საშუალება. მაგრამ ისე, რომ ხელები იღლიებქვეშ ამოუდოთ. ყოველივე ამის მიუხედავად, უნდა გახსოვდეთ, ბავშვი ჯერ კიდევ არ არის ისე მომაგრებული, რომ დამჯდარი დატოვოთ, არც ზურგს უკან ბალიშამოდებული. ჯერ კიდევ გასამაგრებელია მუცლის კუნთები და სხვა. ახლა უნდა დაუჩქაროთ მეორედ აცრა, რადგან პირველი აცრის შემდეგ უკვე ექვსმა კვირამ გაიარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მირაჟული ბედნიერება,

## რომელიც მრავალი ქართული ოჯახის პრობლემად ქცეულა

ამბობენ, უფროსების ეგოიზმი ყველაზე მეტად იმაში გამოიხატება, ახალგაზრდას მოსთხოვოს ისე იცხოვროს, როგორც მას სურს — „მოიქეცი ჩემსავით" — მართლაც, სრული ნონსენსია და ამდენად აუსრულებელი.

და მაინც, თუკი სათქმელი „ზღვად ღელავს" და გადმოსვლას ლამობს, თუკი თვალნათლივ ვხედავთ „საშოვარზე წასული" და ამდენად საკუთარი სურვილითა და არჩევანით დევნილი „ძე შეცდომილის" ტრაგედიას, უფრო მეტიც, როცა ამგვარი დასაწყისითა და ფინალით ურთიერთს საოცრად დამგვანებული ტრაგედიებით გაივსო ქვეყანა და ჩვენც (ქართველები), აშკარად დავდექით საფრთხის წინაშე, ვეღარ გავჩერდებით, რადგან ეს უკვე ის შემთხვევაა, როცა „ყველას ყველაფერი ეხება".

ახალგაზრდობის ხანა წუთისოფლის რჩეული წამია; ყმაწვილი კაცისათვის ისევე ბუნებრივი და აუცილებელია ცხოვრებისეულ წარმატებისაკენ სწრაფვა, როგორც გაუნელებელი, დაუოკებელი სულიერი მოთხოვნილება მოყვასის, სამშობლოს სიყვარულისა, სიკეთისა და სამართლიანობისა. ეს ოდითგანვე ასე იყო და ვაი, იმგვარ მდგომარეობას, როცა პირველი გამორიცხავს მეორეს, როდესაც იწყება ორი ძალის — მოჩვენებით ღირებულებებს აყოლილი გონებისა და გვარ-ტომის შესაბამისად კოდირებული გენის შინაგანად დაძაბული, შეუწყობელი თანაარსებობა.

თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლაში ვნებადახარჯული და სულიერად გაღარიბებული კაცის ტრაგედია იწყება მაშინ, როცა „საშოვარზე" წასული შინ ან ვეღარ ბრუნდება, ან თუკი დაბრუნდა „ჯორჯად" ქცეული გიორგი, ის უკვე ვეღარ ეწერება მშობლიურ გარემოში და რაც მთავარია, ის უცხო გამხდარა იმ „სათნო სოფიოსთვისაც", რომელიც გულისფანცქალით ელოდა „ქართველ ქმარს". მას ხომ მხოლოდ მისი სიყვარული და ერთგულება შეუძლია, უცხოდქცეულისა კი — არა.

„ცივილიზებული ქვეყნიდან" ჩამოსულ ახალგაზრდა კაცს კი ცხოვრებისეული „წარმატების" ქანცგამწყვეტ გზაზე უკვე მოსწრო და გაებნია ის ღირსებები, რისთვისაც ასე უყვარდათ აქ.

ჩვეული ყოფისაგან, ტრადიციული ჩვევებისაგან სწრაფმა და უხეშმა მოკვეთამ სავალალო დაღი დაასვა მის ფსიქიკას. ნაძალადევმა, ყალბმა დეინდივიდუალიზაციამ, რაც ძირითადად იქ, შორეულ ამერიკაში თეფშების „უკომპლექსოდ რეცხვაში", „პლეიბოის" მსგავს ჟურნალებში „ქვედა საცვლის" რეკლამაში, ან კი დოლარის თუ მარკის ხათრით „სექსუალურ უმცირესობისათვის" მაამებლურ სამსახურში და სხვა მსგავს საქმიანობაში გამოიხატა, მისი ფსიქიკიდან და ღირებულებრივი ორიენტირების სფეროდან განდევნა ეროვნული და პიროვნული საზრისის მომენტი. მამა-პაპური ცხოვრების წესი გადაავიწყა და მისი ადგილი დაიკავა ცხოვრებისა და ქცევის ახალმა სტერეოტიპმა, რაც სრულიად მიუღებელი და გაუგებარი შეიქმნა აქაურთათვის. არა და, უკანაც ხომ ეწეოდა მეექვსე გრძნობით — წინათგრძნობით ნაკარნახევი და გაუცნობიერებელი, მაგრამ მაინც განუზომელი ძალით მოქმედი სამშობლოს უკმარობის დარდი და წუხილი... ის, რომლის არსებობასაც გენოფონდის ჯერ კიდევ ამოუხსნელი მოქმედება უდევს საფუძვლად.

ჰოდა, ღამურად ქცეული კაცი გაორდა, „დროებით" ჯიბეში ჩადებული გული საგულეში ვეღარ დააბრუნა (სულიერება არ ეყო) და ვეღარც გულდაცარიელებულმა შესძლო „ბედნიერი" ცხოვრება. გულის დახშობამ ჭკუის დახშობაც იცის და ერთხელ წვალებით ნაშოვნი ფულიც სადღაც გაიფლანგა. ფინალი კი მეტისმეტად სავალალო აღმოჩნდა. აქამდე სიმშვიდითა და ჰარმონიით აღსავსე ოჯახი, რომლის თითოეული წევრი მთელის ნაწილი იყო და ყველანი ასე საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს — გენით, ქცევით, წარსულითა და აწმყოთი, სადაც ერთმანეთს ენდობოდნენ და ცხოვრების დინებას მშვიდად მიჰყვებოდნენ, — გაუცხოებამ დაანგრია... უმამოდ დარჩენილი პატარა ბიჭს, სიკეთისა და ბოროტების გზასაყართან ნაადრევად რომ დამდგარა, ამიერიდან მარტო მოუწევს მამის შეცდომის გამოსწორება და დაკარგული მთლიანობის აღდგენა.

ბედნიერება კი, რომლისთვისაც ამოდენა მსხვერპლი გაიღეს, მირაჟული აღმოჩნდა.

მართალია, ადამიანმა უნდა იცხოვროს ისე, როგორც აჯობებს მისი შესაძლებლობის სრული რეალიზაციისათვის, თუ მისი ცხოვრების უპირველესი მიზანი თვითგანვითარება, სრულყოფა იქნება, თორემ ყოველი ღირსება შეიძლება წაიშალოს, თუ მას გონიერი მიმართულება არ მიეცა.

ადამიანი ამქვეყნად იმისათვის არ ცხოვრობს, რომ გამდიდრდეს, არამედ იმისათვის, რომ ბედნიერი იყოს.

ბედნიერება უპირველესად სიყვარულისმიერი განცდაა და თავის თავში ყოველგვარ სიყვარულს შეიცავს: — ბედნიერი მშობელი, ბედნიერი სატრფო, ბედნიერი მეგობრით, სამშობლოთი, ოჯახით და ა. შ. და რაც აუცილებელია, უნდა იცხოვრო სინდისთან თანხმობით, ღირსების შენარჩუნებით, რაც „ღვთის ხატად" შექმნილ საკუთარი თავისადმი პატივისცემაში უნდა გამოიხატოს.

სრული ბედნიერებისათვის კი ადამიანს გარკვეული ფასეულობები სჭირდება — სიყვარული, ნაცნობი გარემო, შეჩვევა, რწმენა იმისა, რომ შენს გვერდით ის ადამიანები არიან, რომელთაც ესმით შენი და შენს ტკივილსა და სიხარულს გაიზიარებენ. მითუმეტეს, რომ „ქართული სული თანაგრძნობის მაძიებელი სულია" (გ. ასათიანი). ხომ გახსოვთ, რაოდენ საწყალობლად, თოთო ბავშვის ქვითინივით გაისმა „მამლუქის" ფინალში „ვაი, ნანა"... ვეებერთელა, უტყვი პირამიდების ფონზე.

არადა, ქართველთა ცხოვრება ახლა კი არა, დიდი ხანია ისეა მოწყობილი, რომ „კარგად ცხოვრების" სურვილი განუხორციელებელი ხდებოდა ეროვნული კუთვნილების უარყოფის გარეშე. თვით გრ. ორბელიანი წერდა: ...მე ქართული ჩოხა-ახალუხი გამიხდია და აწი სულერთი არ არის რას ჩავიცვამო? რამდენი ტკივილია ამ აღსარებაში. „მე ქართველი კი

არა, ადამიანი ვარ!“ ამ სიტყვებს ხშირად გაიგონებთ ახლაც. კი ბატონო, მაგრამ „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“, რომ იტყვიან, ის ხდება. ტყუილად ხომ არ აღნიშნავდნენ ჩვენი „თერგდალეული“ წინაპრები: — „ადამიანის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან იწყება, როცა თავის ვინაობას დაივიწყებსო“, ან კიდევ: „გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია! მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია!“

არადა პავლე მოციქულის სიტყვებით: თქვენც ხომ „ფასით ხართ ნაყიდნი“ და სხვისი მონები ნულარ გახდებით; ეს ფასი ქრისტეს სისხლია, წინაპართა სისხლია. მაშ, რატომ უნდა უარყო ის, რაც „წილად გხვდა დაბადებით“. ვაჟი, რომელშიაც როგორც გრ. რობაქიძე იტყოდა „ღვიოდა დიონისეს თესლი“, რატომ უნდა მიეყიდოს „იაფ მუშახელად“ გადამთიელს. იქნებ გგონიათ, ვინმეს ფსიქიკა გადაურჩება მონურ მდგომარეობას და შუა გზაზე შეწყვეტილი რაინდული შემართება ალსდგება. ღირსების დამდაბლება, იძულებითი დათმობა, უმეტესად შოკურ მდგომარეობაში აგდებს ადამიანს. შოკს კი შეუძლია მუტაცია გამოიწვიოს (მუტაცია კი ნიშნავს იმას, რომ წინათ არსებული კოდი არ იკითხება). ამდენად, მუტანტი უკვე აღარ არის ის, ვინც იყო და, საუბედუროდ, აღარც ის არის, ვისად გახდომაც სურდა.

საუკუნეთა მანძილზე მტერმა ისედაც ბევრი იმუშავა ჩვენს მენტალიტეტში და ჩვენს სულიერ ცხოვრებაში, მაგრამ მაინც ვერ დაანგრია ჩვენი ეროვნული ხასიათის პიროვნული საწყისი. ჰოდა, ის, რაც მაშინ გადავარჩინეთ, ახლა დავთმოთ სიხარბის გამო?! სიხარბე მხოლოდ ცოდვით დაცემულ ადამიანთა თვისებაა. ბუნება ამ გრძნობას არ სცნობს. მან იცის მხოლოდ აუცილებელი. და რადგანაც ბედნიერებისაკენ სწრაფვა აუცილებელ გრძნობათა რიგს განეკუთვნება, განგებაც თანასწორად სწვდება ყველას — თვალშეუდგამი სიდიადითა და ადამიანთა მოდგმისადმი თანასწორი კეთილმოსურნეობით.

მაშ, ჩვენო შეცდომილო შვილებო, რად ჰკლავთ ბედნიერებას, რომლითაც თანასწორი ყოფილხართ ყოველთა წინაშე.

**მანანა კეიდია**



# დელფინები დაეხმარნენ მშობიარეს

ეს ამბავი კალიფორნიაში მოხდა. სტივენ ჰოუნი და მისი მეუღლე ლინდა სამი წლის შეუღლებულები იყვნენ და რამდენიმე კვირაში ელოდნენ პატარის დაბადებას. ერთ დღეს ისინი იახტით გასასეირნებლად ზღვაში გავიდნენ. მშვენიერი მზიანი ამინდი იყო, ჰქროდა მსუბუქი ქარი. ღია ოკეანეში გასვლისას სტივენმა კურსის შეცვლა გადაწყვიტა. აფრის გაშლისას თოკი ხელიდან გაუვარდა. უცებ თავში საშინელი დარტყმა იგრძნო და... ახალგაზრდა კაცი ბორტს მიღმა აღმოჩნდა. როცა ლინდა ეცადა ქმრის ამოყვანას, თვითონაც წყალში აღმოჩნდა. თუმცა ცურვა გვარიანად იცოდა, დაბნეულობისაგან ქალმა გრნობა დაკარგა და ჩაძირვა დაიწყო. ხოლო, როცა გონს მოვიდა, მუცლის არეში მწვავე ტკივილი იგრძნო და მიხვდა, მშობიარობა იწყებოდა. პანიკაში ჩავარდნილმა რაიმე საყრდენს დაუწყო ძებნა. ნავი შორს არ იყო, მაგრამ დაუხმარებლად მასთან მიახლოება და მით უფრო ზედ აფოფხება — შეუძლებელი იყო. სტივენი არსად ჩანდა.

უცებ სხეულზე ლაყუჩი შეეხო და ახლოს დელფინის თავიც გამოჩნდა. წამის შემდეგ ლინდამ მის გარშემო მცურავი რამდენიმე დელფინი შენიშნა. როცა პირველმა შიშმა გაუარა, ქალი მიხვდა, რომ დელფინები მას წყლის ზედაპირზე გაჩერებაში ეხმარებიან. შეტევები გაძლიერდა და მდგომარეობა კრიტიკული გახდა.

— ყველაზე მეტად ბავშვის დაკარგისა მეშინოდა. ვფიქრობდი, ზვიგენებს რომ სისხლის სუნი ეცემათ, ველარც ერთი ვერ გადავრჩებით-მეთქი, — თქვა შემდეგ ქალმა.

ბავშვი გაჩნდა წყალში, დელფინების გარემოცვაში. მაშინვე გადმოტრიალდა მუცელზე და ხელ-ფეხის ფართხალს მოჰყვა, თითქოს იცოდა, წყალზე როგორ გაჩერებულიყო. ჭიპლარი დედამ თვითონ გადაკვნიტა და შეკრა. ეს კოლეჯში ასწავლეს.

ზვიგენები მალე გამოჩნდნენ. როგორც კი პირველი ზვიგენი მიუახლოვდათ, ადამიანებთან ორი დელფინი დარჩა, დანარჩენებმა მომხვდურს შეუტიეს. მტაცებელმა გაცლა ამჯობინა.

ორი საათის შემდეგ მშობიარე შენიშნეს შორიახლო ჩავლილი გემიდან. ისინი აიყვანეს გემზე და აღმოუჩინეს საჭირო დახმარება. დედა-შვილი თავს ნორმალურად გრძნობდა. ბედად, წყალი იმდენად თბილი აღმოჩნდა, რომ ბავშვი არ გაციებულა. ნახევარი საათის შემდეგ გემზე სტივენიც აიყვანეს. მასაც დელფინები დაეხმარნენ, რადგან თავის არეში ძლიერი დარტყმა ჰქონდა მიღებული და წყალზე დამოუკიდებლად ვერ გაჩერდებოდა.

ამ შემთხვევის შემდეგაც ცოლქმარს არ შეუწყვეტია ზღვაზე ნავით სეირნობა, თან პატარაც დაჰყავდათ. საოცარი ის იყო, რომ ბიჭუნა შესანიშნავად ცურავდა, წყალქვეშ 20 წუთს ძლებდა. როცა შემთხვევის ადგილს ჩაუარეს, კვლავ გამოჩნდნენ დელფინები. ბიჭს სულაც არ შეშინებია, ხელი გადაჰყო და მიეფერა მათ.

ხოლო ერთი წლის შემდეგ წითელ ზღვაზე მოგზაურობდნენ. ბიჭუნა კვლავ დელფინებს შორის აღმოჩნდა, რადგან დედამ უშიშრად ჩაუშვა ბიჭი წყალში. ისინი თამაშობდნენ. გასაოცარი ის იყო, როგორ იცნეს მათი მეგობრების მიერ წყნარ ოკეანეში გადარჩენილი ბიჭი ისრაელელმა დელფინებმა. ეს საიდუმლოდ რჩება.

„ხემ დნეი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იურიდიული კონსულტაცია

# რა უნდა ვიცოდეთ პენსიების შესახებ

საპენსიო უზრუნველყოფით მოქალაქეთა დიდი ნაწილია დაინტერესებული. ამიტომ ხშირად გვეკითხებიან, თუ რა სიახლეებია ამ სფეროში.

სამწუხაროდ, რესპუბლიკას ჯერჯერობით საკუთარი საპენსიო კანონმდებლობა არ გააჩნია. პენსიაზე უფლებრივი საკითხები წყდება ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე კანონის ან მხოლოდ მისი ნაწილის მიხედვით. პენსიის ოდენობები კი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან მთავრობის მიერ მიღებული ცალკეული დადგენილებების შესაბამისად.

ამჟამად დიდი მუშაობა მიმდინარეობს რესპუბლიკის საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად, განსაკუთრებით — მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ კანონპროექტისა და კანონქვემდებარე აქტების პროექტებზე. სანამ მათ საქართველოს პარლამენტი საბოლოოდ არ მიიღებს და არ ამოქმედდება, მანამდე მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა არ შეიცვლება.

დღეის მდგომარეობით რესპუბლიკაში მილიონზე მეტი ადამიანი იღებს პენსია-დახმარებებს. არ ხდება პენსიების დიფერენცირებული წესით განსაზღვრა — მაღალი ან უწყვეტი მუშაობის სტაჟისათვის, არაჯანსაღ პირობებში და მძიმე სამუშაოზე მუშაობისათვის და სხვა. არ მოქმედებს პენსიაზე დანამატების დარიცხვის ძველად მოქმედი სისტემაც. პენსიების ოდენობაში ცვლილება გათვალისწინებულია მხოლოდ ერთადერთი კატეგორიისათვის — მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების, მათთან გათანაბრებული პირებისა და 1941-45 წლებში ომში დაღუპულთა ქვრივებისათვის. მათი პენსია თვეში შეადგენს 13.80 ლარს, ხოლო დანარჩენი პენსიონერებისათვის — 9.80 ლარს.

სანამ მიიღებდნენ საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 17 ოქტომბრის კანონს „ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ", ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულებში ყველა სამხედრო მოსამსახურე ითვლებოდა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო მეორე მსოფლიო ომში, არამედ სხვა სამხედრო მოქმედებებში მიღებული ტრავმის, დაავადების ან დასახიჩრების გამოც. (მაგალითად: უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ავღანეთსა და ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე).

რესპუბლიკის კანონით მოხდა სამხედრო მოსამსახურეთა ცალ-ცალკე გამოყოფა და ომის ძირითად კატეგორიად დაყოფა. მათი საპენსიო უზრუნველყოფა ამ კანონის შესაბამისად ხორციელდება.

მოსახლეობისათვის ცნობილია, რომ ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, ომის ვეტერანების ყველა კატეგორია მუშაობის პერიოდში ხელფასთან ერთად იღებს პენსიას. ასეთი შეღავათი სხვა პენსიონერებზე არ ვრცელდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბავშვობიდან ინვალიდებს, რომლებსაც სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების დავალების საფუძველზე უფლება აქვთ იმუშაონ და პენსიიდან ყოველთვიურად მიიღონ 3 ლარი.

1996 წლის 20 თებერვლიდან საქართველოს 1996 წლის ბიუჯეტის კანონით საქართველოში ახალი საპენსიო ასაკი დადგინდა. კერძოდ, ჩვეულებრივ პირობებში მომუშავეთათვის ქალებს პენსიები ენიშნებათ 60 წლის მიღწევის შემდეგ, მამაკაცებს კი — 65 წლის ასაკში, ხოლო მათ, ვისაც მუშაობის სტაჟი საერთოდ არ გააჩნიათ, დაენიშნებათ სოციალური პენსია — ქალებს 65, ხოლო მამაკაცებს 70 წლის ასაკიდან. შესაბამისად 5 წლით გაიზარდა იმათი საპენსიო ასაკიც, რომელთაც მანამდე ჰქონდათ შეღავათები. მაგალითად, მრავალშვილიან დედებს, ომის მონაწილეებს, ფეიქარ ქალებს და ა. შ.

წელთა ნამსახურობით პენსიაზე უფლების მქონე პირებს, კერძოდ, განათლებისა და ჯანდაცვის მუშაკებს, ავიატორებს, ბალეტისა და თეატრის მსახიობებს. ე. ი. მათ, ვისაც მუშაობის სპეციალური სტაჟი მოეთხოვებათ პენსიის დასანიშნად, საპენსიო ასაკის გადიდების გამო შეზღუდვები არ ექნებათ. სამუშაოდან გათავისუფლების შემთხვევაში მათ პენსიები ენიშნებათ ჩვეულებრივი წესით, ასაკის მიუხედავად. მაგ. მასწავლებლებს, ექიმებს და სხვ.

ძალაში დარჩა 2 წლამდე შეღავათი უმუშევრის სტატუსის მქონე პირებისათვის, მაგრამ ახალი საპენსიო ასაკის გათვალისწინებით. მაგალითად, მამაკაცს, რომელიც სამსახურიდან გაათავისუფლეს შტატების შემცირების გამო ან წარმოების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით და აქვს 25 და მეტი წლის შრომის სტაჟი, უმუშევრის სტატუსის მიკუთვნების შემდეგ უფლება აქვს პენსიის დასანიშნად მიმართოს სოცუზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებას 63 წლის ასაკში.

**ასმათ ძეგისაშვილი,**
საპენსიო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

# ეგზოტიკური ხილი

დღეს ყველგან იყიდება ბანანი, ანანასი, კივი და სხვა ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი ხილი... რომელია უკეთესი?

კივი სასარგებლოდ მიაჩნიათ და მართალიცაა, მასში დიდი რაოდენობითაა C ვიტამინი (უფრო მეტი, ვიდრე ლიმონში). გარდა ამისა, იგი კარგად მოქმედებს ყელის ტკივილისას. 2 ცალი კივი ყოველგვარ უსიამოვნებას მოგაშორებთ.

ფეიხოა განთქმულია იოდის მაღალი შემცველობით, რომელიც წყალში გახსნილის სახითაა და ადვილად ითვისებს ორგანიზმი. ფეიხოა სასარგებლოა ათეროსკლეროზის და ფარისებრი ჯირკვლის სამკურნალოდ. ვაშლმჟავას დიდი რაოდენობა, რომელიც ფეიხოაშია, აწესრიგებს საჭმლის მონელებას, გამოაქვს ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებები და ამაგრებს ძარღვების კედლებს. ძალიან სასარგებლოა იგი ვენების გაგანიერებისას.

ბევრს ანანასის ჭამის შემდეგ ტუჩის კუთხეებში ნახეთქები უჩნდება. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ანანასში დიდი რაოდენობითაა ორგანული მჟავეები. რაც კარგია საჭმლის მონელებისათვის. ანანასშია ფერმენტი ბრომელინი, რაც გამოიყენება ზოგიერთი წამლის დასამზადებლად კოლიტების, მოწამვლის, ნაწლავების დაავადებისას.

ამიტომაც, თუ ნოყიერი სადილის მერე კუჭში სიმძიმეს იგრძნობთ, მიირთვით ანანასის ნაჭერი და უკეთ გახდებით.

ბანანში ვიტამინები ნაკლებადაა. სამაგიეროდ ბევრია კალიუმი და შაქარი, რაც ძალზე სასარგებლოა თირკმლებით დაავადებულთათვის. კალიუმი აუცილებელია გულის უკმარისობის დროს. შაქრისა და ნახშირწყლების დიდი შემცველობის გამო, ბანანი ნოყიერია. სასურველი არ არის მისი ღამით ჭამა, რადგანაც ის დუღილს იწვევს ნაწლავებში, აფერხებს კუჭ-ნაწლავის მუშაობას. არ ვარგა მისი მირთმევა რძესთან ან მჟავე კომბოსტოსთან. უმჯობესია ბანანის ჭამა კვებათა შორის შუალედებში.

რადგანაც ამ ხილის შესახებ ჩვენს სამედიცინო ლიტერატურაში ცნობები არ მოიპოვება, ამიტომ გავითვალისწინოთ: ფეიხოასა და ბანანში დიდი რაოდენობითაა შაქარი და ჭარბი შაქრიანობისას მისი მიღება სასურველი არაა. საერთოდ კი, ჩვენთვის უცხო ხილს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რადგან შეიძლება ალერგიული რეაქცია გამოიწვიოს; და კიდევ, ადამიანს მკურნალობაში ეხმარება მის მშობლიურ გარემოში გაზრდილი მცენარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მცენარეებით მკურნალობა

ადამიანი ოდითგანვე იყენებდა ბუნებაში არსებულ მცენარეებს სამკურნალოდ. ბევრი მათგანი დღეს დავიწყებას მიეცა, ბევრიც წარმატებით გამოიყენება თანამედროვე მედიცინაში. გთავაზობთ იმ მცენარეთაგან დამზადებულ რეცეპტებს, რომლებზეც ხელი მიგვიწვდება.

**ბროწეული** — მისი ქერქის ნახარში გამოიყენება ღვიძლის, თირკმელების, პირის ღრუს, თვალის, ყურის, სახსრების ანთებითი პროცესების, ძვლის მოტეხილობის, საშვილოსნოდან სისხლისდენის, ღრძილებიდან სისხლისდენის დროს. ქერქის ნახარშის მოსამზადებლად 2 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ქერქს დაასხით 1 ჭიქა ცხელი წყალი, ადუღეთ ცხელი წყლის აბაზანაზე 30 წუთის განმავლობაში, გაწურეთ 2—3 ფენა დოლბანდში და მიიღეთ მეოთხედი ჭიქა 2—3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

**ნუში** — მისი გული კარგი საშუალებაა წნევის დასაწევად. მას უნიშნავენ ბრონქიალური ასთმით, თავბრუსხვევით დაავადებულებს, აგრეთვე მეძუძურ ქალებს, როგორც ლაქტაციის მომგვრელი საშუალება. მისი ნახარში კარგია ხველების დროს, აქვს ძილისმომგვრელი, ანტისეპტიკური მოქმედების უნარი.

ნახარში მზადდება შემდეგნაირად: 4—5 ცალ გულს დაასხით 1/2 ლიტრი ადუღებული წყალი, გააჩერეთ ნელ აბაზანაზე 30 წუთს, გადმოდგით და გააჩერეთ 10 წუთს. გაწურეთ. დაამატეთ წყლის დანაკარგი რაოდენობა და დალიეთ 1/2 ჭიქა დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 20 წუთით ადრე. მკურნალობის ვადა 10 დღეა. ამასთან უნდა ამოწმებდეთ არტერიულ წნევას. კურსის გამეორება შეიძლება ორი კვირის შემდეგ.

მწარე ნუშის ზეთს იყენებენ დასალევად ბრონქიალური ასთმის დროს. სვამენ 6—8 წვეთს 3-ჯერ დღეში. დოზა შეიძლება გაზარდოთ 1/2 ჩაის კოვზამდე.

**ართრიტების დროს** — მტკივან სახსარზე ძილის წინ დაიფინეთ შემდეგი შემადგენლობის ნაზავი: ცალკე ათქვიფეთ 100 გრამი უმი კვერცხის ცილა, 100 გრამ სპირტში გახსენით ჯერ 50 გრამი ქაფური, შემდეგ 50 გრამი მდოგვი, შეურიეთ ცილა და დაიფინეთ მტკივან ადგილზე.

**ბრონქიტის დროს** — ა) მდუღარე 1 ლიტრ წყალში ჩაყარეთ 400 გრამი ქატო, გადმოდგით ცეცხლიდან, გააციეთ, გაწურეთ. სვით მთელი დღის განმავლობაში ცხლად. გემოს მისაცემად დაუმატეთ დამწვარი შაქარი.

ბ) ნახევარ ლიტრ ღვინოში ჩაყარეთ წვრილად დამტვრეული 4 დიდი ფოთოლი ალოე. გააჩერეთ 4 დღეს. მიიღეთ ბრონქიტის დროს დესერტის კოვზით დღეში 3-ჯერ.

გ) 300 გრამ თაფლს დაუმატეთ ალოეს წვრილად დაჭრილი 3—4 ტოტი და ნახევარი ჭიქა წყალი. ხარშეთ ძალიან ნელ ცეცხლზე 2 საათის განმავლობაში. გააციეთ. შეინახეთ გრილ ადგილზე. მიიღეთ სუფრის კოვზით დღეში სამჯერ.

**გასტრიტის დროს** (როცა მჟავიანობა მომატებულია) — უზმოზე დალიეთ 3/4 ჭიქა ახლადგამოწურული უმი კარტოფილის წვენი და წამოწექით ნახევარი საათით. 1 საათის შემდეგ შეიძლება საუზმობა. მკურნალობის კურსი 10 დღეა. შემდეგ 10 დღე უნდა შევისვენოთ.

**ბუასილის დროს** — კარგი საშუალებაა ვერხვის ფოთოლი. ჯერ თბილი, შემდეგ — გრილი წყლით და საპნით მოიბანეთ მტკივნეული ადგილი, ვერხვის გარეცხილი მშრალი ფოთოლი დაიფინეთ მტკივან ადგილზე 2 საათით. თუ ტკივილმა იმატა, ფოთოლი შეიძლება მოიხსნათ უფრო ადრეც და მოიბანოთ გრილი წყლით. ეს პროცედურა გაიმეორეთ ორი დღის შემდეგ.

**გულისა და ფილტვების დაავადების დროს** — ძვირფას რეცეპტად ითვლება: 400 გრამი კარაქი, 400 გრამი ღორის მუცლის ქონი, 400 გრამი თაფლი, 400 გრამი შაქარი, 100 გრამი კაკაო, 8 კვერცხის ცილა, 3 ჭიქა ნაღები. ავთქვიფოთ ერთად ცილა, ნაღები და კაკაო, ხოლო კარაქი და ქონი ერთად გავალღოთ, ყველაფერი ერთად წამოვადუღოთ, ვიდრე არ მივიღებთ ბლინის ცომის მსგავს მასას. წამოვადუღოთ არა უმეტეს 3-ჯერ, გავაციოთ და მივიღოთ ჩაის კოვზით 3-ჯერ დღეში.

**ქეცის დროს** — 10 გრამ იასამნის ყვავილს დაასხით 100 გრამი სპირტი, გააჩერეთ 10—15 დღე. ნაყენს ისვამენ დაზიანებულ ადგილზე. 1 კვირაში დაავადება ქრება. ეს ნაყენი არჩენს ხოკოვან დაავადებებსაც. შეინახეთ გრილ ადგილას.

**სახსრების დაჭიმულობის დროს** — ძალიან წვრილად დაჭრილი ხახვი შეურიეთ შაქრის ფხვნილს და კარგად ასრისეთ. წაუსვით დოლბანდს და დააფარეთ დაჭიმულ სახსარს.

**უძილობის დროს** — ძალიან კარგია 1/2 ჭიქა გოგრის ნახარშის მიღება თაფლთან ერთად.

**ჭრილობების დროს** — ა) აიღეთ ჭინჭრის ფოთლები, დააქუცმაცეთ, დაასხით არაყი ან სპირტი ისე, რომ დაფაროს. დადგით მზეზე ორი კვირით. ასეთ ხსნარში დასველებული დოლბანდი დაიფინეთ ჭრილობაზე. ჭრილობა თავს შეიკრავს, მალე შეხორცდება და დაცული იქნება ინფექციისაგან.

ბ) ძველი ჩირქოვანი ჭრილობების გასასუფთავებლად — აიღეთ ერთი სუფრის კოვზი თხის ან ცხვრის ქონი, ნახევარი სუფრის კოვზი მარილი და 1 სუფრის კოვზი წვრილად დაჭრილი (ან გატარებული) ხახვი. ასრისეთ კარგად. ამ ნაზავის ნახევარი დაიდეთ ჭრილობაზე 24 საათით. ეს გამოიწვევს პირველ ხანებში ტკივილსა და წვას, მაგრამ ჭრილობის გასუფთავების შემდეგ ტკივილი შეწყდება. საფენი გამოიცვალეთ დღეღამეში ერთხელ ჭრილობის სრულ გაწმენდამდე.

**კოჟრების დროს** — ა) დაწოლის წინ დაიორთქლეთ და დაიბანეთ ფეხი. შემდეგ კარგად გაიმშრალეთ და კოჟრზე დაიდეთ ლიმონის კურკა ცოტა რბილობთან ერთად. 4—5 დღის შემდეგ კოჟრი ამოვარდება.

ბ) ხახვის ფურცელი დაასველეთ ძმარში და ორი კვირის განმავლობაში დაიფინეთ კოჟრზე. ყოველ ღამე იცვალეთ. კოჟრი გაქრება.

**ნაღვლის ბუშტიდან კენჭების გამოდევნა:** — აიღეთ 1/2 ლიტრი ზეითუნის ზეთი და 1/2 ლიტრი კარგად გაწურული ლიმონის წვენი. საკვების მიღებიდან 6 საათის შემდეგ იწყება მკურნაკობა: ყოველ 15 წუთში დალიეთ 4 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი 1 სუფრის კოვზი ლიმონის წვენის დაყოლებით. როცა ზეთი გათავდება, სწრაფად დააყოლეთ მორჩენილი ლიმონის წვენი მთლიანად. ამ დროს მოსალოდნელია გულძმარვა და ბოყინი, რისაც არ შეგეშინდეთ.

**კლიმაქსის დროს** — აიღეთ 10 ცალი ლიმონი, დაჭერით კანიანად, შეურიეთ 5 კვერცხის დანაყილი ნაჭუჭი, დაუმატეთ 1/2 ლიტრი არაყი. გააჩერეთ 5 დღე. კარგად გაწურეთ. მიიღეთ 2 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში 1 თვის მანძილზე.

ტკივილი

# ობოლი საფლავების სევდა

იმ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა თბილისში. უცბად გადავწყვიტე მშობლებთან წასვლა რაიონში. რას ამბობ? შეშფოთდნენ ოჯახის წევრები, მეგობრები. ამხელა თოვლში სად უნდა წახვიდე? გზაზე არსად ჩარჩეო. ისე ძალიან მენატრებოდნენ მშობლები, მაინც არ დავიშალე და წავედი.

მატარებელი ადრიანად ჩავიდა ხაშურში, მაგრამ სადგურის მესვეურებმა შემხვედრი მატარებლები აღარ გაუშვეს დასავლეთისაკენ, დიდი თოვლია და შეიძლება წიფის თავდაღმართში ელმავალი დაგორდესო.

ვიჯექით მგზავრები მთელი დღე ცივ, გაყინულ დარბაზში. როცა დაბნელდა, შუქიც ჩაქრა, ჯოჯოხეთური წყვდიადი ჩამოწვა ირგვლივ. გვიან ღამით მგზავრების დაჟინებული მოთხოვნით მატარებელი გაუშვეს. როგორც იქნა, შუაღამისას მივედი სახლში.

— საიდან ასე გვიან, ასეთ ამინდში, შვილო? გულში ჩამიკრა დედამ. გახარებული მამაც შემომეგება. მეფერებოდნენ, მეკითხებოდნენ ამბებს, შემომხაროდნენ. ირგვლივ იყო სითბო, სიყვარული, მე ვიყავი მშობლიურ სახლში და უეცრად დამავიწყდა იმდღევანდელი მგზავრობა, წვალება, სიცივე, დაღლა.

იმ ღამეს დიდხანს ვერ დავიძინე. ვფიქრობდი, რომ ბედნიერი ვიყავი — მყავდნენ მშობლები. იმ წუთებში საოცრად მიკვირდა, როგორ ვძლებდი მათ გარეშე?

ცხოვრება ისე აეწყო, რომ მე და ჩემი და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, დედაქალაქში დავრჩით საცხოვრებლად, მშობლები რაიონში იყვნენ. მთელი ცხოვრება სულ ერთმანეთისკენ ვისწრაფოდით, მივდიოდით, მოვდიოდით.

მეგონა, ასე გაგრძელდებოდა დაუსრულებლად. ახლა ვხვდები საუბარში მშობლების მიერ ბრძნულად ჩართული სიტყვების მნიშვნელობას, მშობლები უნდა წავიდნენ, შვილები უნდა დარჩნენო. იცის მშობელმა, რა მძიმეა შვილისთვის მშობლის დაკარგვა, ეს ხომ თვითონაც გამოსცადა და ცდილობს, შეაჩვიოს შვილი იმ აზრს, რომ ერთ დღეს მის გარეშე დარჩება.

ამაზე და კიდევ ერთ რამეზე ვფიქრობ ხოლმე თვალცრემლიანი მშობლების საფლავებთან. ვიგონებ მათ ყოველ წვრილმანს, სიკეთეს, მათ დაუღალავ ზრუნვას, თავგანწირვას, უნაპირო ერთგულებას შვილების მიმართ და ვცდილობ, ღრმად ჩავწვდე მათი მშობლიური ზრუნვის აზრს. ისიც კარგად ვიცი, ეს რომ გაიგო, თვითონ უნდა იყო მშობელი, დედა...

გადის წლები, ახლაც ისევე მივისწრაფი მშობლიური სახლისაკენ. ასე მგონია, ისევ მელიან მშობლები, ისევ გავახარებ ჩემი მისვლით...

მისვლისთანავე ეზოს ყვავილებს ვკრეფ და სასაფლაოსკენ მივდივარ...

— მოხვედი, შვილო! ყურში ჩამესმის დედ-მამის ხმა.

— მოვედი, — ვპასუხობ მე. მერე გულში ვუყვები ათას წვრილმანს, რაც თავს გადამხდა მას შემდეგ, რაც ისინი აღარ მინახავს...

სასაფლაო ჩემი მშობლების ამქვეყნიური სახლია და ვცდილობ, ისევე ფაქიზად მოვუარო, როგორც ისინი უვლიდნენ მშობლიურ სახლს, ეზო-კარს...

უამრავი ფიქრით დატვირთული მოვდივარ სასაფლაოდან. ვგრძნობ, რომ მშობლების გარდაცვალების შემდეგ იგი საოცრად ახლობელი გახდა ჩემთვის, რომ სიცოცხლე და სიკვდილი ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ.

სინანულით ვათვალიერებ საფლავებს. ამ წლებში რამდენი კარგი ადამიანი წავიდა უფროსი თაობიდან, ჩემი ტოლები, უფრო ახალგაზრდებიც. მე ყველა მათგანი მახსოვს, მახსოვს მათი გარეგნობა, საუბრის კილო, მანერები. რამდენ რამეს იტევს ადამიანის გონება. ამ წლებში ისიც კი შევიტყვე, ვის როგორი პატრონი, მზრუნველი ჭირისუფალი ჰყოლია: აი, რაიონის სახელოვანი ექიმის ვარლამ ჯულაყიძის სათუთად მოვლილი საფლავი, იქვე ზალიკო ოკრიბელაშვილი განისვენებს. ვალერი წერეთელი და ემზარ წიქარიშვილი — ორივენი ტრაგიკულად დაიღუპნენ ძალზე ახალგაზრდები. სკოლიდან მახსოვს, გაწუყრელი მეგობრები იყვნენ, ცელქები და ნიჭიერები.

აი, ნიჭიერი ჟურნალისტის ზაირა აბაშიძის საფლავი, იქით კი ეთერ კიკნაძე განისვენებს, საბავშვო ბაღის გამგე, სათნო და მოსიყვარულე ქალბატონი, მიხეილ გაბუნია, სკოლის დირექტორი, მრავალი თაობის აღმზრდელი. ბევრი, ძალიან ბევრი ნაცნობი სახე იმზირება საფლავის ქვებიდან.

ამ ფაქიზად მოვლილი საფლავების გვერდით არის უკვე უპატრონო საფლავები. არის ისეთებიც, რომელთა პატრონიც წელიწადში ერთხელ (აღდგომისა და მიცვალებულის ხსენების დღეებში) ამოდის, გაწმინდავს საფლავს მოძალებული ბალახისაგან, რომ სასაფლაოზე მოსული ხალხის თვალში „მზრუნველი“ და „ყურადღებიანი“ გამოჩნდეს.

ჩემი მშობლების საფლავების მახლობლად დედაშენის საფლავია, ნინო!..

გინახავს ობოლი, მტირალი საფლავი? მე მინახავს და პირდაპირ გეტყვი, ეს დედაშენის საფლავია, მიტოვებული, ძეძვში, ეკალ-ბარდში ჩაფლული, საცოდავი სანახავი. თუ ნახა საერთოდ ადამიანმა, რადგან იმ ადგილზე საფლავი რომაა, მხოლოდ იმან იცის, ვინც სასაფლაოზე ადრეულ გაზაფხულზე ან გვიან შემოდგომაზე მისულა. იცი, ნინო, წელიწადის სხვა დროს არ ჩანს დედაშენის საფლავი...

მე დღესაც თვალწინ მიდგას იგი. ლამაზი, წარმოსადეგი ექიმი ქალი, თბილი და ყურადღებიანი. ორი თვალტანადი ქალიშვილი გაგზარდათ, შეგხაროდათ, მერე ორივე დაგაოჯახათ (ორივე და თბილისში გათხოვდით), შვილიშვილებით ხარობდა.

როცა იგი გარდაიცვალა, შენ და შენმა დამ სასწრაფოდ გაყიდეთ მშობლიური სახლი და ალბათ მას შემდეგ რაიონში ფეხიც არ დაგიდგამთ. დედის საფლავისხთვის ათეული წლებია არ მიგიკითხავთ. უკვე ვთქვი, ზოგიერთი წელიწადში ერთხელ მაინც მოაკითხავს საფლავს, თქვენ კი არც იმ ერთხელ მიდიხართ სასაფლაოზე.

„შვილებისათვის მშობლები წარსულია, მშობლებისათვის შვილები — მერმისი“ (დუსელი). შენ და შენი და ხომ ორივე მშობელი ხართ, დედები და ალბათ გეიმედებათ მერმისში შვილები, ალბათ დედასაც ეიმედებოდით...

ქალიშვილი მშობლების ჭირისუფალი, დამტირებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პატრონია, — ასე ამბობს ჩვენი ბრძენი ხალხი. ჩვენში დამწუხრებულ ჭირისუფალს ანუგეშებენ, ყოჩაღად იყავი, მიცვალებულს პატრონობა უნდაო.

დიახ, ქრისტიან ადამიანს სულის მოხსენიება, სანთლის ანთება, საკურთხი და სასაფლაოზე მისვლა სჭირდება. და არა ისეთი მოვლა, როგორც ზოგიერთს მიაჩნია — მდიდრული საფლავის გაკეთება. ქრისტიანული სარწმუნოება გვასწავლის, რომ საფლავი არ უნდა იყოს მდიდრული, მიცვალებულის სულისთვის უკეთესია, თუ თანხა გაჭირვებულთ დაურიგდებათ.

ნინო, უნდა გენახა, აღდგომას რამდენი გაჭირვებული ბავშვი დადიოდა სასაფლაოზე, დედაშენის საფლავთანაც მივიდნენ, შენი და შენი დის მიტანილი, საფლავზე დაგორებული სააღდგომო კვერცხები რომ წაეღოთ იმ მშიერ ბავშვებს, ისიც დედაშენის სულს წაადგებოდა იმქვეყნად...

ნინო, ეს წერილი დიდმა გულისტკივილმა, დედაშენის პატივისცემამ და სიბრალულმა დამაწერინა. დიახ, მე ხშირად ჩამესმის მისი მიტოვებული საფლავის ქვითინი და მოსვენებას მიკარგავს.

საქართველოში ამ ბოლო დროს, სამწუხაროდ, მომრავლდნენ პატრონიანი „უპატრონო" საფლავები. მე მათ ობოლი საფლავები დავარქვი. საოცრად მეცოდებიან ისინი, რადგან იქ განსვენებულ ადამიანებს ერთ დროს ჩვენსავით უხაროდათ, წყინდათ, უყვარდათ, ოცნებობდნენ, ღელავდნენ, ხან იმარჯვებდნენ, ხან მარცხდებოდნენ, ცხოვრების ტკბილ-მწარე ფიალას ეწაფებოდნენ, ჩვენსავით ეგონათ, რომ სიცოცხლეს დასასრული არ ექნებოდა... მაგრამ ბოლოს სიკვდილს მაინც შეხვდნენ.

პატივისცემა აუცილებელია მათი, თუნდაც იმიტომ, რომ როგორც პოეტი ამბობს, „მეც აქ უნდა დამებინოს! მეც აქ უნდა მქონდეს ბინა!" ასეთია ცხოვრების დაუწერელი, მაგრამ შეუცვლელი კანონი...

ნინო, ვიცი, რომ მოხუცებულობის წლებში დაგტანჯავს მშობლიური ადგილის ნოსტალგია, ნოსტალგია დედის საფლავის...

ვაითუ, მაშინ იმ ქალბატონივით დაგემართოს, მრავალი წლის შემდეგ მშობლიურ სოფელში რომ ჩასულა. სოფლის სასაფლაოზე დედის საფლავის ნახვა მონდომებია. ბევრი უძებნია, მაგრამ საფლავი ვეღარ უპოვნია... რას ეძებთ, ქალბატონო? — უკითხავს შაოსანს. დედის საფლავსო, — უპასუხნია იმ ქალბატონს, ვეღარ მივაგენი (ქალს სახელი და გვარი უთქვამს დედის), ხომ არ დამეხმარებითო.

— აფერუმ, რა შვილი გაუზრდიხართო, — ირონიულად უთქვამს შაოსანს და გასცლია.

ადამიანი სიცოცხლეში ხშირად ფიქრობს იმქვეყნიურ ცხოვრებაზე, იმაზე, თუ ვის გაახსენდება სიკვდილის შემდეგ, ვინ მივა მის საფლავზე...



მხატვარი ლუიზა ჭიკაძე

მართოსულები ამას მტკივნეულად განიცდიან. წინასწარ ემზადებიან, ზოგი საფლავსაც კი იმზადებს.

ერთმა ნაცნობმა, არცთუ ხნიერმა ქალბატონმა საკუთარი სურათი გაადიდებინა, მერე ვიღას გავახსენდებიო...

მშობლებს შვილები ეიმედებათ მათი საფლავების პატრონად, ჩემს ახლობელ ქალიშვილს მამამ საშუალო სკოლის დამთავრების დღეს, თეთრ წინსაფარზე (ჩვეულებად იქცა წინსაფარზე სურვილების წარწერა) ასეთი სურვილი დაუწერა:

„შვილო! მუდამ იყავი კეთილი, გულისხმიერი და ყურადღებიანი. ეცადე, შენი მშობლების საფლავზე სარეველა ბალახი არ ამოვიდეს".

დიახ, მშობლის სული გრძნობს შვილების მისვლას საფლავთან და იმქვეყნად ხარობს.

ლადო ასათიანი ლექსში „სასაფლაო" ასე მიმართავს ერთადერთ ქალიშვილს — მანანას: „მოცქრიალდი ჩემს საფლავთან, ვით სიცოცხლის ლურჯი თვალი, ვით ეს შლეგი ნაკადული, ვით ყვავილთა დედოფალი, დაიხარე პიტალოზე ამაყი და დამამშვენი და, ყვავილთა დედოფალო, მოიგონე მამაშენი".

პოეტის სურვილი ხომ ყველა მშობლის საბოლოო სურვილია.

ის დედაშენის სურვილიც იქნებოდა, ნინო...

**ლინა ბარათაშვილი**

# რჩევები

ენერგიის შესავსებად სულაც არ არის საჭირო ტკბილი ყავის მირთმევა. ამისათვის უმჯობესია:

1. საფეთქლებთან შეიზილოთ კრემი; ეს ძალას შეგმატებთ. ამისათვის გამოიყენეთ ბაზილიკის, ევკალიპტის და პიტნის კრემები.

2. ეცადეთ, ბევრი იცუროთ, ცურვა კარგად მოქმედებს ორგანიზმის საერთო მდგომარეობაზე და ენერგიას გმატებთ.

3. მომჟავო ხილ-კენკრა და ციტრუსები მდიდარია C ვიტამინით, რაც აუმჯობესებს საერთო მდგომარეობას და ამაგრებს იმუნურ სისტემას. ამიტომ ყოველ დილას მიიღეთ ერთი ჭიქა ფორთოხლის ან გრეიფრუტის წვენი და მიირთვით რაც შეიძლება ბევრი ხილი.

4. დალიეთ დღეში ერთი ლიტრი წყალი მაინც, რათა ორგანიზმის თითოეულმა უჯრედმა მიიღოს საკმაო რაოდენობის სითხე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიცხეში, როცა მოთენთილობას გრძნობთ.

5. მოისმინეთ ომახიანი მელოდიები. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ასეთი მუსიკალური რიტმები აძლიერებს პულსს და ხელს უწყობს ორგანიზმში საჭმლის მონელების პროცესის დამაჩქარებელი ფერმენტების გამოყოფას.

# მკვლელი ბრილიანტები

**ტოგამიშოს დიქტატორის ყოფილმა პირადმა მცველმა ბენჯამინ ბორგესმა აღიარა ის, რაც ამ ქვეყნის დიდმა ჩინოსნებმა კარგა ხანია იცოდნენ: ტოგამიშოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ალმასების საბადო ატომური ელექტროსადგურის ქვეშ იმყოფება და იქიდან ამოღებული ბრილიანტები რადიაქტიურია.**



— ვინ იცის, რამდენი ადამიანია განწირული სასიკვდილოდ ამ ალმასების წყალობით, რამდენს ელის კიბო და მახინჯი ბავშვების გაჩენა — ამბობს ბორგესი.

საბადო, რომელიც დედაქალაქიდან 800 კილომეტრის დაშორებით ნემაეუმის ჩანჩქერთან მდებარეობს, დიდი ხნის განმავლობაში უპრობლემოდ არსებობდა, იმ დაწყევლილ 1969 წლამდე, სანამ ნემაეუმის ატომური ელსადგური არ ააშენეს.

— მაშინ არავის ეგონა, თუ რა საშიშროება ემუქრებოდა მოსახლეობას, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ბირთვულმა ნარჩენებმა ნიადაგში გააღწია და ირგვლივ ყველაფერი მოწამლა. ახლა, როცა ტოგამიშო აღარ არის და კონტინენტთან ურთიერთობა უმჯობესდება, საჭიროა ყველამ იგრძნოს პასუხისმგებლობა და გააფრთხილოს დაბინძურებული ბრილიანტების მფლობელები — თქვენ სასიკვდილო საფრთხე გელით. მაგრამ ზოგიერთ სპეციალისტს ეშინია, რომ ამის კონტროლირება უკვე ძნელია.

ბორგესი აღნიშნავს, რომ სახიფათო ბრილიანტების უმრავლესობა გაიყიდა 1978-1989 წლებში რჩეულ კლიენტებზე ბელგიის, საფრანგეთისა და შვეიცარიის კერძო ბაზრებზე. არ არის გამორიცხული, რომ იქიდან ისინი ამერიკაში, რუსეთში და დ ს თ-ს ქვეყნებში მოხვდა.

დოქტორი მიკლოს კორსტოპოლისი, ცნობილი ფიზიკოს-ბირთვოლოგი გვთავაზობს შევამოწმოთ ჩვენი ბრილიანტები ჰეიგერის მრიცხველით.

თუ ასეთი მრიცხველი ვერ იშოვეთ, არის სამი მარტივი ხერხი დაბინძურებული ბრილიანტების შესამოწმებლად:

1. გამორთეთ სინათლე, ოთახში აბსოლუტური სიბნელე უნდა იყოს. ანათებს თქვენი ბრილიანტები მწვანე ფერით?
2. როცა ძვირფასი ქვა ყურთან მიგაქვთ, გესმით სუსტი გუგუნი?
3. გრძნობთ თუ არა უმიზეზო დაღლილობას მას შემდეგ, რაც რამდენიმე საათის განმავლობაში სამკაული გეკეთათ?

თუ სამივე კითხვას დადებითად უპასუხეთ, დოქტორი კორსტოპოლისი გირჩევთ, სასწრაფოდ მოიხსნათ ბრილიანტები და ოფიციალურად შეამოწმოთ.

არ დაიზაროთ, ეს ის შემთხვევაა, როცა სჯობს თავი დროზე დაიზღვიოთ, ვიდრე შემდეგ მთელი სიცოცხლე ინანოთ.

ჟურნალი „ვსემირნიე ნოვოსტი"

## დამნაშავეა გული

ქალებისათვის, განსაკუთრებით კი გოგონებისათვის დიდ ტრაგედიას წარმოადგენს თმები და ფერისმჭამელები სახეზე. ეს მარტო კოსმეტიკური წუნი არაა.

როგორც შინაგან დაავადებათა სპეციალისტი, ამერიკელი დოქტორი რობერტ უაილდი აღნიშნავს, ჭარბთმიანობა და ფერისმჭამელები 12 მილიონამდე ამერიკელ ქალს აწუხებს. მისი გამომწვევი მიზეზი კი ქალის ორგანიზმში მამაკაცის ჰორმონის — ტესტოსტერონის სიჭარბეა. თავისთავად ეს სიჭარბე მაღალ წნევას, სიმსუქნეს და დიაბეტს იწვევს. ყოველივე ეს კი გულსისხლძარღვთა დაავადების უეჭველი ფაქტორია.

ამგვარად, მთავარი დამნაშავე გული ყოფილა.

ყოველდღიური ფიზიკური ვარჯიში, დიეტა და ჭარბი ტესტოსტერონის საწინააღმდეგო აბები ამ უსიამოვნებას აგაცილებთ.



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქტორის
ტელეფონი:
99-98-71

მასალები გადაეცა ასაწყობად 15.07.97 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 12. 97 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 8. ტირაჟი 800. შეკვ. 0929.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელი ოქროპირიძე

## კედელზე ჩამოსაკიდებელი ჩანთებიანი ხალიჩა სხვადასხვა საგნების ჩასაწყობად

ხალიჩა ან გობელენი, — მაუდის ან რაიმე სქელი და მჭიდრო ქსოვილისაგან იკერება. ფერადი მაუდის პატარა ნაჭრებისაგან შეკერეთ ჩანთები, გულის ფორმის, ფისოს თავი, ჯიბისმაგვარი. ზემოდან აპლიკაციით ან ფერადი ძაფებით „მოხატეთ“. ფერები შეარჩიეთ მკვეთრი, ხალასი, მხიარული, გაუყარეთ ჯოხი ისე, როგორც ნახატზეა მოცემული, მოაქსოვეთ ფოჩები. გობელენის საფუძველს ჯერ მიაბლანდეთ ჩანთა, შემდეგ საკერავი მანქანით (მსხვილი შტრიხით) დააკერეთ. ხალიჩა-გობელენი თქვენი ბავშვის საწოლთან ჩამოკიდეთ და ჩანთებში საჭირო საგნები ჩაულაგეთ.



## ცხელი ტაფის, ქვაბის ხელმოსაკიდებელი ტილო და ხელთათმანი სამზარეულოსათვის

ასეთი საგნების გაკეთება მეტად ადვილია. ამის დამზადება ხელმარჯვე ბავშვებსაც კი არ გაუჭირდებათ. პატარა მაუდის ნაჭრებისაგან გამოჭერით თქვენთვის სასურველი ფორმა, აუცილებლად ორმაგი, ე. ი. თითოეული საგნისათვის საჭიროა ოთხი თარგი, შემდეგ გარშემო პეტლურად შემოაქარგეთ, ვიდრე შეკერავდეთ, ჯერ ერთ მხარეს დააკერეთ აპლიკაცია ან ფერადი ძაფებით მოქარგეთ. ასეთი საგნები დიასახლისებს სამზარეულოში ძალიან გამოადგებათ.



გთავაზობთ ჩანთებიანი გობელენის მეორე ვარიანტს სასწავლო ნივთების ჩასაწყობად. ჩანთებს დააქარგეთ ფერადი ძაფებით ან აპლიკაციის საშუალებით გამოსახულება, გაამშვენიერეთ. ეცადეთ, ჩანთები სქელი მაუდისაგან იყოს, ასეთი ქსოვილი არ იძენძება და კარგად სძლებს. გაუკეთეთ საკიდებლები, ისე, როგორც ნახატზეა მოცემული. შემოაკერეთ ფოჩები და თქვენს მოსწავლე-შვილს სამუშაო ოთახში მოხერხებულ ადგილზე დაუმაგრეთ. კარგი იქნება, თუ თვითონ ბავშვიც დაგეხმარებათ ასეთი გობელენის შეკერვაში.



## დეკორატიული ხელთათმანი სამზარეულოსათვის

გამოჭერით ხელთათმანის ფორმის მაუდის ქსოვილი, ორმაგი. ერთ-ერთს დააკერეთ აპლიკაცია — პატარა კურდღლები. შემდეგ პეტლური ნაქარგით შეკერეთ, გაუკეთეთ საკიდებელი და ხელთათმანიც მზად არის.



ფასი 1 ლარი





ეს მომხიბვლელი ბავშვები „გვირილას“ წევრები არიან. მრავალი უცხოელი და ქართველი მაყურებელი მოხიბლა მათმა ხელოვნებამ. წერილს ამ ანსამბლზე წაიკითხავთ ამავე ნომერში მე-16 გვერდზე



